# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 30 ივლისი 2004 №174 (2195) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიჟია!

## აუწიეთ დინამოს რეიტინგი, მელქაძეს ყური



## შამქირი 1:4 თბილისი ოფიციალურად და ყარდაშულად





გოჩა ხოჯავას ჩაწოდებულს კოკა მიკუჩაძემ თავი დაჰკრა, 2:0 და შამქირის საქმეც გათავდა



კოკა მიკუჩაძემ „შამქირს“ ორჯერ გაუტანა

## უეფას თასი 2004-2005

UEFA CUP I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი UEFA CUP

შამქირი 29 ივლისი. 17 საათი. „შამქირი“ 5 000. (ტევადობა 9 000)

### შამქირი 1:4 თბილისი

პირველი მატჩი: 0:1

0:1 ჭელიძე (26), 0:2, 0:3 მიკუჩაძე (40, 78), 0:4 კვარაცხელია (85), 1:4 ალიევი (90)

| | |
|---|---|
| შამქირი: იუსიფოვი, ჯაბაროვი, ვალიევი, მადათოვი, ახმადოვი (ფარვაროვი 54), ჰასანოვი, ჭინჭარაული, ჰუსეინოვი, მარდანოვი (ასადოვი 71), კულიკოვი (ესონგი 54), ალიევი სათადარიგონი: ტახიროვი; ბართია, ამირასლანოვი, ხალილოვი | თბილისი: დევაძე, ლოლაძე, ქემოკლიძე, ორბელაძე, ელიავა, ოდიკაძე (გ. კვარაცხელია 56), გოგუა, გ. ნუგ. ჭელიძე (გეწაძე 75), ხოჯავა (გ. მიქაძე 46), აფციაური, მიკუჩაძე სათადარიგონი: ბ. შეყრილაძე; მესხი, ფიფია, შ. ჯიქია |
| მწვრთნელი: გაჰრამან ალიევი | მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი |

გაფრთხილება: ჰასანოვი (28), ხოჯავა (28), ჰასანოვი (32), ოდიკაძე (35), ელიავა (45), ჭინჭარაული (81), მიკუჩაძე (81)

გაძევება: ჰასანოვი (32)

მსაჯები: ლუკ ვილმერი; ფრენს გრელო, გაი როლინგი; ალბერტ ტოესანი (ყველა ლუქსემბურგი)

# საღოლ!

**კობა ინასარიძე შამქირიდან**

ესეც ასე: „შამქირი“ — „თბილისი“ 1:4. თუ არ ვცდები, ასეთი ანგარიშით ქართულ გუნდებს ევროთასებზე სტუმრად არ მოუგიათ, რა თქმა უნდა, ბოლო 15 წელიწადს.

სათქმელი ახლავე ვთქვათ და ჩვეულ კითხვაზე, ქართველებმა როგორ ითამაშესო, ვუპასუხოთ — „თბილისმა“ ისე ითამაშა, რომ ანგარიში მატჩის საერთო სურათს სრულად ვერ ასახავს, ჩვენებს გაცილებით დიდი ანგარიშით მოგება შეეძლოთ...

შესვენება იყო, „თბილისი“ 2:0 იგებდა და სამი-ოთხი ნაღდი საგოლე მომენტი ჰქონდა გაცუდებული, როცა აზერბაიჯანელმა კოლეგებმა ლამის ერთხმად გვკითხეს — ვი შთო, ხათითე ათამსთით ზა ვით ჯორჯია?

სმატრია კაკ პალუჩიტსა — იყო ჩვენი პასუხი, თუმც ისიცაა, რომ „ვიტ ჯორჯიას“ ხსენება მასპინძლებს, ცოტა არ იყოს, უდროოდ მოუვიდათ. რა დროს „ვიტ ჯორჯია“ იყო, როცა „თბილისს“ მეტოქე ფეხქვეშ ჰყავდა გაღებული. ისე კი, აზერბაიჯანელებს თავისი ადარდებდათ და „ვიტ ჯორჯიაც“ ეგებ სიმწრისგან წამოსცდათ.

„თბილისის“ მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა ფეხბურთელები ისე განალაგა, გუნდმა შეტევაც ხეირიანად შესძლო და დაცვაც გამართული იყო. უკან, მარჯვნიდან მარცხნივ, ლოლაძე, ქემოკლიძე, ორბელაძე, ელიავა თამაშობდნენ, მერე ორი საყრდენი — ოდიკაძე, გოგუა — მოდიოდა, მათ წინ ჭელიძე-ხოჯავა-აფციაურის ტრიო აწიოკებდა „შამქირს“, სულ წინ კი ეული მიკუჩაძე იყო, თუმც „ეული“ პირობითად თუ ითქმის, რადგანაც წინ წაწეულ ნახევარმცველთა ხაზი მიკუჩაძეს მარტო არ ტოვებდა.

მატჩის დაწყებისთანავე „თბილისის“ უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ „შამქირის“ ქომაგებმა თავისიანებს სტვენაც კი აუტეხეს. უკვე მე-10 წუთისთვის თბილისელებმა ორი რეალური მომენტი ქარს გაატანეს. ხელსაყრელი პოზიციიდან ჯერ ჭელიძემ ვერ დაუმიზნა კარს, მერე — მიკუჩაძემ. აზერბაიჯანელები სტუმრების აქტიურობამ ამ დროისთვის გამოაფხიზლა. გოლის ორჯერ გატანა მათაც შეეძლოთ, მაგრამ „შამქირიდან“ უდავოდ საუკეთესო ფაშა ალიევს აკაკი დევაძემ ორჯერვე აჯობა, ერთხელ ბურთი სულაც ცხრიანიდან გამოაგდო. ეს იყო და ეს, „შამქირის“ თამაშის გადმოცემა სულ ორ სტრიქონად შეიძლება.

„თბილისმა“ მასპინძლების რბევა 26-ე წუთზე დაიწყო: ხოჯავამ, რომელიც ზემოხსენებულ ორ ეპიზოდშიც ასისტენტობდა პარტნიორებს, ამჯერადაც ზუსტად ითამაშა. კარის სიახლოვეს მცველი ერთი მოძრაობით ჩამოიშორა და ბურთი ლამის ცენტრიდან სიჩქარეაკრეფილ ჭელიძეს საჯარიმოს ხაზთან დაუგორა. გიორგიმ ბურთი გაისწორა და შორეულ ცხრიანს დაუმიზნა... დაუმიზნა კი? წამის შემდეგ ის ბურთი, რომელსაც ჭელიძემ დაჰკრა, კუთხურის ალმისკენ მიგორავდა. ააცილა? არა, თბილისელები ერთმანეთს გადაეხვივნენ, ერთმანეთს აშკარად გოლს ულოცავდნენ. მსაჯი? მსაჯი ხელს ცენტრისკენ იშვერს. ესე იგი, გოლია! მაშ რა მოხდა, ბურთი კუთხურის ნიშნულისკენ რატომ გაგორდა? ერთი ვარიანტია: კარის ბადე იყო გარღვეული. მოკლედ, 0:1

იქვე მასპინძელთა საყრდენი ჰასანოვი ლუქსემბურგელმა მსაჯმა უხეშობისთვის და ზედმეტი ლაპარაკისთვის ხოჯავასთან ერთად გააფრთხილა. ხუთ წუთში კი შამქირელი ლუკ ვილმერმა მსგავსი დარღვევისთვის დააჯარიმა — ჰასანოვმა მიკუჩაძეს უკნიდან ჩაარტყა ფეხი. ეს ჯარიმა კი გაძევების ტოლფასი იყო და მსაჯმაც, მასპინძელთა მუდარის მიუხედავად, უწესრიგო ფეხბურთელი არ დაინდო.

მე-40 წუთი: ისევ ხოჯავა და იქით-აქეთ მიმოფანტული მცველები. თბილისელი გამთამაშებელი ორ შამქირელს შუა ცრუმოძრაობით გაძვრა და კარის წინ დარჩენილ მიკუჩაძეს ბურთი თავზე დაასვა — კოკას თავური უნაკლო გამოდგა — 0:2.

კარგად მახსოვს ის მატჩი, როცა „თბილისი“ „დინამოს“ „ეროვნულზე“ პირველ ტაიმს 2:0 უგებდა და თამაში 2:2 მორჩა. ნამატჩევს გიორგი დევდარიანმა ალალად თქვა, შემეშინდა და შესვენების შემდეგ დაცვა გავაძლიერე, ასე არ უნდა გამეკეთებინაო. კაცი, მწვრთნელი შეცდომებზე სწავლობს. დევდარიანი ამჯერად დაცვის გაძლიერებას მოერიდა და ის შეცვლაც, რაც მან შესვენებაზე გააკეთა, თამაშმა გვიჩვენა, აბსოლუტურად გამართლებული იყო, თანაც ისეთი, გუნდს რომ თითქოს არაფერი დასტყობია, თუმც შეტევა გაძლიერდა. შეიცვალა ხოჯავა, მიკუჩაძემ უკან დაიხია, მის ადგილას კი მიქაძე გამოჩნდა.

მეორე ტაიმიც „თბილისის“ დიდი უპირატესობით დაიწყო. თუმც ეს უნდა ითქვას: ალბათ ქართული ხასიათია, „თბილისი“ ორივე ფეხით შემდეგ ეტაპზე იყო და გუნდიც ცოტა მოდუნდა.

გახსოვდეთ „ვისლა“! როგორ არ დაინდეს პოლონელებმა საქართველოს ჩემპიონები? ან კი რატომ უნდა დაენდოთ. თბილისელებმა კი აშკარად შეიბრალეს მასპინძლები, მაგრამ ეგებ იმიტომაც, რომ... ამ წინადადებას რეპორტაჟის ბოლოს დავამთავრებ...

ვიდრე „თბილისი“ კიდევ ორ, ორივე ულამაზეს გოლს მიართმევდა მასპინძლებს, „შამქირსაც“ ჰქონდა გოლის გატანის შანსი. აზერბაიჯანელთა უკრაინელი ლეგიონერის კულიკოვის შემცვლელად მოთამაშე ნიგერიელმა ესონგმა, რომლის მოედანზე გამოჩენამაც ქომაგი ერთობ გაახალისა, აკაკი დევაძეს ორჯერ სახიფათოდ დაურტყა, მაგრამ მეკარეს ვეღარ აჯობა. ეგ კი არა, გამოცდილმა დევაძემ ნიგერიელს ერთხელ ისე აწაპნა ბურთი, ტრიბუნას ტაშიც მოსწყვიტა.



მიკუჩაძის მეორე გოლი კი მართლაც ულამაზესი იყო: კოკამ ლოლაძისგან პასი საჯარიმოს კუთხესთან მიიღო, ჯერ ერთ მცველს გაუსწორდა, იქვე მეორეს, მესამესაც აუარა და ცაციათი კარის შორეულ ცხრიანში გაარტყა. მეკარე კი გაფრინდა, მაგრამ რას გახდებოდა, თავად წარმოიდგინეთ.

მიკუჩაძის ამ გოლიდან შვიდი წუთიც მიილია და კვარაცხელიას გოლიც ვნახეთ, ესეც ულამაზესი. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ერთი შედარება: გაიხსენეთ ამ ევროჩემპიონატზე შვედი ჰენრიკ ლარსონის თავური ბულგარელების კარში და ისეთი იყო კვარაცხელიას გოლიც.

სულ ბოლოს კი იმ ალიევის გოლი იყო, ვისი მოგვარე მამა-შვილი პრეზიდენტების პლაკატებს წითელი ხიდიდან შამქირამდე ყოველ კილომეტრში შეხვდებით და არც სტადიონს დატოვებთ ამის უნახავი.

და ნამატჩევს იყო გზა შამქირიდან წითელ ხიდამდე, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრამდე. ქართველების დანახვაზე მასპინძელთაგან ქართულად ნათქვამი გაგიმარჯოს, საქართველოს გაუმარჯოს, მადლობა და, ერთი-ორი რუსულად ნათქვამიც: ფუტბოლ ეტო გრუზინსკი ფუტბოლ, ზასლუჟენო პობედილი!

**გიორგი დევდარიანი,** „თბილისის“ მწვრთნელი: „თბილისი“ ვითარდება და დღეს რომც წაგვეგო, ბიჭებს კარგი თამაშისთვის მადლობას ვეტყოდი. მაგრამ მადლობა მაინც სხვაა და აღმაფრენა სხვა. ჩვენ მოვუგეთ „შამქირს“, რომელიც არცთუ ისე ძლიერი გუნდია. ამ შედეგმა არ უნდა გვაცდუნოს და საკუთარ თავზე ზედმეტი წარმოდგენა არ შეგვიქმნას. მოვიგეთ, ეს ძალიან კარგია, მაგრამ საქმე ჯერ კიდევ ბევრია. სადღეისოდ „თბილისი“ თავისი პოტენციის 40-50 პროცენტით თამაშობს. ორ-სამ წელიწადში კი გაცილებით მეტს შევძლებთ.



მსაჯმა „შამქირის“ კარი კერა, კერა, ვერ გაკერა




გოლი და ლევან მელქაძის (№18) ვაჟის დაბადება მეგოლე დავით კვირკველიამ და მისმა ასისტენტმა ბებეტო-რომარიოს ჟესტით აღნიშნეს

# გახსენ, ბატე, ჭიშკარი

## დინამო ჩაკეტილშიც გაფრინდა

**უეფას თასი 2004-2005**
UEFA CUP | საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი UEFA CUP

თბილისი. 29 ივლისი. 20 საათი. ეროვნული. 8 000 (ტევადობა 70 900)

**დინამო 1:0 ბატე**

პირველი მატჩი: 3:2

| | |
|---|---|
| 1:0 კვირკველია (87) | |
| დინამო: ზოიძე, შაშიაშვილი, სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, კაშია (ალადაშვილი 42), კანკავა, კვირკველია, ბურდული (გრიგალაშვილი 83), გონჩაროვი (მელქაძე 61), კაკალაძე<br>*სათადარიგონი:* მამალაძე; ნემსაძე, ხმალაძე, დვალი<br>მწვრთნელი: გია გეგუჩაძე | ბატე: ჟევნოვი, ბაგა, ტარასენკო, მარდასი, მოლოში, კობეცი, ლიხტაროვიჩი, ლოშანკოვი (სკრიპჩენკო 78), სტრახანოვიჩი, რინდიუკი (შკაბარა 57), რუბნენკო (აფანასიევი 46)<br>*სათადარიგონი:* ფიოდოროვიჩი; ერმაკოვიჩი, შოროხი, შჩეგრიკოვიჩი<br>მწვრთნელი: იური პუნტუსი |
| გაფრთხილება: კაშია (33), სტრახანოვიჩი (45), ალადაშვილი (47) | |
| მსაჯები: მარკ უიტბი; ლი ევანსი, დარენ იდი; ბრაიან ლოლორი (ყველა უელსი) | |
| უეფას ინსპექტორი: რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი) | |
| უეფას დელეგატი: პატრიკ კიგლი (ირლანდია) | |

დავით თავართქილაძე

შარშანდლისგან განსხვავებით, „დინამომ“ პირველი ევრობარიერი გადალახა და სამი წლის წინანდლისგან განსხვავებით, ბატე დააქვასანაყა — გია გეგუჩაძეს მზარდი გუნდი ჰყავს და გაუხსნელი რესურსი ამ „დინამოში“ მართლაც ჩანს.

... დავით კვირკველიამ და ლევან მელქაძემ კედელი გაითამაშეს, კვირკველიამ ერთ-ერთ ბატელთან ორთაბრძოლაშიც იყოჩაღა და ცაციამ მარჯვენათი შეაწყვიტა ცხრიანს ბურთი — ამ გოლმა გული საგულეს ჩააყენა, ბატე სამი გოლის გამტანი აღარ იყო.

თუმც გოლის შემდეგ ბელარუსებმა შმაგად შეუტიეს „დინამოს“. მიხეილ აფანასიევის დარტყმული დავით ჭიჭვეიშვილმა ფაქტობრივად ცარიელი კარიდან გამოიტანა, შემდეგ ირაკლი ზოიძემ ვალერი ტარასენკოს აული თავური, მერე ოლეგ სტრახონოვიჩს და გახელებული ბორისოველების იერიშებს მარკ უიტბის საფინალო სასტვენი მოჰყვა.

ზოგადად, ჩაკეტილი თამაში იყო, მაგრამ „დინამო“ უფრო მეტს უტევდა, მეტოქეს ნაირგვარ კომპონენტებში აღემატებოდა. „დინამოს“ თამაში კვირკველიას და ლადო ბურდულს მიჰყავდათ, დავით ჭიჭვეიშვილი კი ყინულმჭრელივით მიაპობდა მის წინ აღმართულ ბატელებს.

პირველი სახიფათო მომენტი ბურდულის ფლანგურ გარღვევას მოჰყვა — ბორის გონჩაროვმა დასწრებაზე ითამაშა, მაგრამ თავური სუსტი გამოდგა და იური ჟევნოვი იოლად დაეუფლა ბურთს. შორეული დარტყმებით სცადეს ბედი ბურდულმა და ჯაბა კანკავამ, თუმც ხეირი არც ამან მოიტანა. გარჯას ჟევნოვსაც ვერ დავუკარგავთ — მან ბურდულს ძნელი ბურთი აულო.

ბორისოველები დინამოელებზე მეტად ფრთხილობდნენ, მაგრამ თავს იცავდნენ თუ თავს ესხმოდნენ მეტოქეს, წინ ორი ფორვარდი სისტემატურად ჰყავდათ. თუმც „დინამო“ უკან ოთხი მცველით იდგა და რინდიუკ-რუბნენკო შებოჭილი ჰყავდათ. შუა მოედანიც „დინამოსი“ იყო, ჯანმაგარი ჯაბა კანკავა ორთაბრძოლებს ხშირად იგებდა.

პირველ ტაიმში ბატემ სულ ორჯერ გაისროლა ბურთი ზოიძისკენ — დმიტრი მოლოშას შორეული ჯარიმა მიზანს ასცდა, ხოლო სტრახონოვიჩმა მეკარის ხელებს დაუმიზნა — სახიფათო მომენტი არც ერთს არ ეთქმოდა — ბატე, რომელსაც ორი გოლი უნდა გაეტანა, ამის მაქნისი არ ჩანდა.

ბატემ არც მეორე ტაიმში გახსნა თამაში. ფრთხილობდა „დინამოც“, მაგრამ მეტოქეზე უფრო ამწვავებდა თამაშს. კვირკველიას შეეძლო მახვილი კუთხიდან გატანა, ჟევნოვს ბურთი თავზე გადაუგდო, თუმც უშედეგოდ. მიზანმა დაალალატა კახა ალადაშვილიც.

სტუმრებმა შეცვლაზე შესული ფორვარდით, აფანასიევით სცადეს შეტევაში რაღაცის შეცვლა — აფანასიევმა ერთი დინამოელი მოხდენილად ჩამოიტოვა, მაგრამ ზოიძემ დაბალი ბურთი მოიგერია, ხოლო დამატებაზე ბატელებმა ვეღარ ივარგეს — ამ ეპიზოდამდე ნახევარ ტაიმზე მეტი უკვე გასული იყო და ბელარუსებიც ნელნელა იხსნებოდნენ. ზოიძემ კი ერთხელაც იყოჩაღა — ალექსანდრ კობეცის საჯარიმო დარტყმისას მინდვრიდან არეკნილი, ძნელად მოსაგერიებელი ბურთი კარში არ შეუშვა. ხოლო რაც ამის შემდეგ მოხდა, ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

გეგუჩაძის 4-4-2 საინტერესო სანახავი გამოდგა. მწვრთნელი ერთი მატჩით არ ფასობს, მაგრამ გეგუჩაძეს რომ ტაქტიკური ფლექსაციის უნარი გააჩნია, სადავო არ უნდა იყოს — განლაგების შეცვლას გუნდის ჯერაც ნედლი იერსახის შეცვლა არ გამოუწვევია, ხოლო ბატეს იქით რას რა როგორ გასწვდება, აწი გამოჩნდება.

### პრესკონფერენცია



**გია გეგუჩაძე:** 75-80 წუთი ჩემმა ფეხბურთელებმა დასახული ამოცანა შეასრულეს, სათამაშო დისციპლინა დროის ამ მონაკვეთში არ დარღვეულა. თამაში არ უნდა გაგვეხსნა და ეს მოვახერხეთ. მეტოქე იძულებული იყო, შეეტია, მაგრამ ბატეც არ იხსნებოდა. ლევან მელქაძეს კი ვაჟიშვილის დაბადებას ვულოცავ.



**იური პუნტუსი:** მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავ, „დინამო“ დამსახურებულად გავიდა შემდეგ ეტაპზე, მის რიგებში დღეს საუკეთესო მეკარე იყო. განაწყენებული ვარ, რომ გამოვვარდით, რადგან უფრო მეტის პოტენცია გვაქვს. დღევანდელ მატჩში ჩემი ფეხბურთელების მიმართ პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ შინ „დინამოსთან“ უკეთ უნდა გვეთამაშა. დღეს ჩვენ ფორვარდებს მეტის გაკეთება მართებდათ, მაგრამ... დაველოდოთ მომდევნო წელს და ჩემპიონთა ლიგაში „დინამოსთან“ რევანშს.

### ნამატჩევს

**დავით კვირკველია:** — ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ვარ, ეს ჩემი პირველი ოფიციალური მატჩებია. მეც და სხვებიც თანდათან უკეთ ავთამაშდებით. გოლი ლევან მელქაძეს მივუძღვენი, ბიჭი შეეძინა. ცნობილი ჟესტი იმიტომაც გავაკეთე.

— მომდევნო წრეში ვის ისურვებდი მეტოქედ?

— ამას დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, გასაგებია, რომ გაცილებით სერიოზული მეტოქე გვეყოლება.

— „დინამოდან“ წასვლა მომავლისთვის გადადე?

— ახლა, მგონი, ვერ წავალ. „დინამოსთან“ კიდევ ერთი წელი მაკავშირებს. ასპროცენტიანი წინადადებები მქონდა საკმაოდ სერიოზული კლუბებიდან, მაგრამ არ გამიშვეს. თუმცა, „დინამომაც“ დამაჯერა...

**ლადო ბურდული:** დავალება გვქონდა, არ გავხსნილიყავით და დაცვაში ფხიზლად გვეთამაშა. ვიცოდით, რომ ბოლოს გაიხსნებოდნენ და ასეც მოხდა.

— რამდენჯერმე პოზიცია შეიცვალე...

— მე და კანკავა ადგილებს ვცვლიდით, ხან შუაში ვთამაშობდი, ხან ფლანგზე. ცოტა გამიჭირდა, ამდენი გამიცდა, თუმცა მთავარი ისაა, რომ ფეხს არ შევუწუხებივარ.

**ვალერი ტარასენკო:** მარცხის მიუხედავად, თამაშით კმაყოფილი დავრჩი. კარგი გუნდი გყავთ, ტექნიკური. გაშვებული გოლის შემდეგ გასატანი მომენტები კი გვქონდა, მაგრამ თქვენს მეკარეს გაშვება არ უნდოდა.

— შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ცოტა შებოჭილები იყავით...

— სტუმრად თამაში, ასეთი სიცხე... თუმცა თქვენს გუნდს დამსახურებას არ ვუკარგავ, ვფიქრობ, მინიმუმ ერთი წრის დაძლევა თავისუფლად შეუძლიათ. მომეწონა გონჩაროვი, კვირკველია, ჭიჭვეიშვილი, მან ყველა საჰაერო ბურთი მოგვიგო.

**ოლეგ სტრახანოვიჩი:** აკლიმატიზაცია ვერ მოვასწარით, ისე ცხელოდა, რომ სუნთქვა გვიჭირდა. „დინამო“ კარგი გუნდია და დამსახურებულად მოგვიგო. ჩვენ რომ თანაბარძალოვანი მეტოქეები ვყოფილიყავით, ბორისოვში მოვიგებდით და აქ წაგება ტრაგედია აღარ იქნებოდა.

— როგორ ფიქრობთ, „დინამოს“ შეუძლია შემდგომი ეტაპის დაძლევა?

— ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, როგორ ითამაშებთ შინ. ორბურთიანი უპირატესობით მოგების შემთხვევაში „დინამოსთან“ ნებისმიერ მეტოქეს გაუჭირდება. ძალიან მომეწონა თქვენი ოცდასამი ნომერი (კანკავა), ის სულ ახალგაზრდაა და თამაშს შესანიშნავად კითხულობს.

— ამ მარცხის მერე რა იქნება თქვენი მთავარი ამოცანა?

— ბელარუსის ჩემპიონობა, ვფიქრობ, ამას შევძლებთ და ევებ მომავალ წელსაც შევხვდეთ.

დავით ერაძე

# რეინჯერსი ნიუკასლამდე დაუმარცხებელია



*სეზონისწინა მოსამზადებელზე „რეინჯერსის“ მომგები ჯერ არავინაა — „რომასა“ და „ფულემის“ შემდეგ გლაზგოელებმა „ტოტენჰემიც“ დასცეს — „აიბროქსზე“ 2:0 მოიგეს. გოლები ნაჩო ნოვომ და დადო პრსომ გაიტანეს.*

*ზურაბ ხიზანიშვილს არ უთამაშია, რადგან „რეინჯერსის“ მენეჯერმა ალექს მაკლიშმა დაცვის ხაზი ექსპერიმენტულად ათამაშა. შოთა არველაძე კი შეცვლაზე შევიდა და სამატჩო პერიპეტიებიც მას გამოვკითხეთ*

— ნორმალური თამაში იყო, მაგრამ ლონდონელებს საუკეთესო ფეხბურთელი რობი კინი დაუშავდათ — ფეხი უშნოდ გადაუბრუნდა და გასაყვანი შეიქნა. ამის შემდეგ „რეინჯერსს“ თამაში უფრო გაუადვილდა. მე ბოლო 25 წუთი ვითამაშე და საკუთარი თავით კმაყოფილი დავრჩი — ოპერაციის შემდეგ ხომ თითქმის ხუთთვიანი პაუზის შემდეგ მიწევს მინდორზე გასვლა.

— შაბათს უკვე ნიუკასლში ვიქნებით, სადაც ოთხთა ტურნირზე ვითამაშებთ. „რეინჯერსისა“ და „ნიუკასლის“ გარდა იქ „ფეიენოორდი“ და ერთ-ერთი პორტუგალიური გუნდიც იქნებიან.

**დავით თავართქილაძე**

# ხუმარებზე არ ხუმრობენ



**ბუნდესლიგა** 7 აგვისტოს იწყებს, გელზერკირხენის „შალკესთვის“ კი სეზონი ორი კვირის წინ, ინტერტოტოს თასის გათამაშებით დაიწყო. „შალკემ“ უკვე სამი მატჩი ჩაატარა, აქედან ორი სტუმრად და სამივეში გაიმარჯვა. ლევან კობიაშვილმა სამჯერვე სრულად ითამაშა.

ოთხშაბათს გელზერკირხენელებმა დანიური „ესბიერგი“ მისსავე მოედანზე 3:1 დაამარცხეს და წყვილში გამარჯვებულის ვინაობაც პრაქტიკულად იქვე გაარკვიეს.

კობიაშვილმა ჩვეულ, მარცხენა ფლანგს უპატრონა და კარგადაც. დაცვაშიც მარჯვე იყო და შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა. მე-40 წუთზე აილტონს საგოლედ გადააწოდა, ბრაზილიურ-ქართული კედელი აილტონმა გოლით დაასრულა და ანგარიშიც გაათანაბრა.

როგორც „შალკეს“ ვებ-გვერდი იუწყება, 61-ე წუთიდან კობიაშვილს შეცვლილი ბიომეს ადგილი დაუკავებია ცენტრში. ამ დროისთვის დანიელები სწორედ ცენტრიდან ცდილობდნენ ხეირის ნახვას, მაგრამ არც აქედან გამოუვიდათ რამე.

აქვე იმასაც გამცნობთ, რომ გერმანულმა „კიკერმა“ ჩაატარა გამოკითხვა საჩემპიონო რბოლაში „ბაიერნის“ უმთავრესი კონკურენტის გამოსავლენად. „შალკე“ პირველ ადგილზეა 65 პროცენტით, მომდევნონი „ვერდერი“ და „შტუტგარტი“ არიან.

**დავით ერაძე**

# მშუდრო კუნძული
## ითამაშე, რამდენიც გინდა

*კვირაზე მეტია, გიორგი ანჩაბაძე კვიპროსზეა და თავის ახალ კლუბში, „ენოსის პარალიმნისში“ ვარჯიშობს. „ენოსისი“ უკვე შეუდგა საახალსეზონო მზადებას და 4 აგვისტოდან ავსტრიულ შეკრებასაც დაიწყებს, აგვისტოს ბოლოს კი კუნძულელთა ჩემპიონატიც გაჩაღდება.*

*კვიპროსულ ამბებზე გიორგი ანჩაბაძეს პარალიმნიში შევეხმიანეთ...*



— წინა კვირას „ენოსისთან“ ცხრათვიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, რომელსაც ვადის ამოწურვის შემდეგ გადავხედავთ. ეს ყველაფერი ისე მოხდა, რომ მათ ჩემი ვარჯიშიც კი არ უნახავთ, მხოლოდ სამედიცინო შემოწმება გავიარე და მორჩა.

— როდის და როგორ დაინტერესდნენ კვიპროსელები შენით?

— ისინი პლეიმეიკერის ძიებაში იყვნენ, „ენოსისის“ ქართველმა ლეგიონერმა ლევან ქებაძემ კი ჩემი კანდიდატურა ურჩია. ესენიც დაინტერესდნენ, ჯერ „დინამოს“ ვებ-გვერდით გამიცნეს, შემდეგ ჩემი თამაშის ფირებიც ნახეს და დამიძახეს. ერთი მომენტიცაა, ქებაძე აქ ავტორიტეტია და მის სიტყვას ენდობიან.

— გუნდთან ერთად უკვე ივარჯიშე?

— ოთხი-ხუთი დღეა, რაც ვარჯიშები დაიწყო და ძირითადად გუნდის შეთამაშებაზე კეთდება აქცენტი. კვიპროსზე ზაფხულში ძალიან ცხელა და ამიტომ დიდი პაუზაა, რის გამოც ფეხბურთელებს ბურთის „გახსენება“ სჭირდებათ. გაცილებით სერიოზული მზადება 4 აგვისტოდან დაიწყება, ამ დროს ავსტრიაში მივემგზავრებით და იქ 18 აგვისტომდე დავრჩებით.

— შენსა და ქებაძის გარდა კიდევ არიან ლეგიონერები?

— სამხრეთაფრიკელი ფორვარდი ჰყავთ, გვარად მაკდონალდი, როგორც თქვეს, ქვეყნის ნაკრებშიც უთამაშია. ჩეხი მეკარე გვყავს და სლოვაკი მცველი. ახლა ერთი ზიმბაბველიც ისინჯება, „ენოსისში“ კვიპროსის ნაკრების ორი კანდიდატიცაა.

— სავარჯიშო პირობებით კმაყოფილი ხარ?

— ყველაფერი ნორმალურადაა. ბაზაც აქვთ და სტადიონთან ერთად ხუთი სავარჯიშო მოედანიც. საერთოდ, კვიპროსზე კარგი ხარისხის მინდვრები ჩვეულებრივი ამბავია.

— პარალიმნი საკურორტო ქალაქია და გულშემატკივრებით განებივრებული არ უნდა იყოთ...

— აიანაპადან ექვსი კილომეტრია, ძალიან ლამაზი და კოხტა ქალაქია. 6-7 ათასიანი სტადიონი აქვთ და, როგორც მითხრეს, თითქმის ყოველთვის სავსეა. ბევრი ბრიტანელი ცხოვრობს და მათი გავლენა კვიპროსზე საგრძნობია.

— „ენოსისს“ რა მიზნები აქვს?

— პირველ რიგში კარგი, მებრძოლი გუნდის გაკეთება უნდათ, რომელიც ხუთეულში მოხვედრას უპრობლემოდ მოახერხებს. აქამდე „ენოსისს“ ნიქოზიის და ლარნაკას გუნდებთან პირველ რიგში ფინანსურად უჭირდა ჭიდაობა, ახლა ამ მხრივაც გამოსწორდა საქმე და ვნახოთ, რა იქნება.

— მოკლედ, ეჩვევი ახალ გარემოს...

— კი, კარგად მიმიღეს, ერთ თვეში ბინის პრობლემასაც მომიგვარებენ, ოჯახსაც ჩამოვიყვან და მერე ყველაფერი კარგად იქნება. კვიპროსი ძალიან მშვიდი ქვეყანაა, მხოლოდ საკურორტო სეზონის დროს ილვიძებს, აქ მთელი ევროპიდან ჩამოდიან დამსვენებლები. დანარჩენ დროს კი ცხოვრების ტემპი დუნდება და ითამაშე ფეხბურთი, რამდენიც გინდა.

**დავით ერაძე**

# საგოლე პასი ბუნდესლიგიდან

**დავით სირაძის** „ტრირი“ შეკრებაზე ოლდ მოყვარულ გუნდებს ეთამაშებოდა, მაგრამ ამას წინათ, როგორც იქნა, ძლიერ მეტოქეს ესპარინგა — „კაიზერსლაუტერნთან“ შინ 1:2 დამარცხდა.

როგორც სირაძემ გვითხრა, მეორე და პირველბუნდესლიგურ გუნდთა ამხანაგური მატჩი საინტერესოდ წარიმართა. მეტოქეებმა ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშეს. პირველი ტაიმის შემდეგ 0:2 იყო და სირაძეც მერე შევიდა მინდორზე, საპასუხო გოლი ნიკო პიჩინსკიმ სწორედ ქართველის პასით გაიტანა. ტრირელებს მატჩის გადარჩენაც შეეძლოთ, მაგრამ რამდენიმე საგოლე მომენტი გაანიავეს.

**დავით თავართქილაძე**

# მსუბუქი ჟანრი ქართველი კაცებისთვის: თქვენ საოცარი ქმნილებები ხართ





# დაწექი, ჟენია...

*ბორისოვის ბატე ეროვნულზე ვარჯიშობდა, თანმხლები ბელარუსები კი სარბენ ბილიკებთან გამწკრივებულიყვნენ. ჩვენი ყურადღება ერთმა სლავმა ამორძალმა მიიპყრო, რომელმაც მოულოდნელი კითხვით მოგვმართა — მოჟნა ია ნა გაზონ ლიაგუ. ცოტა დაბნეულებს ბელარუსმა კოლეგებმა აგვიხსნეს, ეს ევგენია პავლინაა, მხატვრულ ტანვარჯიშში მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი. თბილისში ერთ-ერთმა ბელარუსულმა არხმა მოავლინა, პროგრამა „ნე ვსიო ო ფუტბოლესთვის“ გადაცემას ამზადებსო.*

*გაზონიდან წამომდგარ ევგენია პავლინას მუნჯიც კი გამოელაპარაკებოდა...*

— სპორტულ და თანაც საკმაოდ წარმატებულ კარიერასთან განშორება არ გაგიჭირდათ?

— მხატვრული ტანვარჯიში სპორტზე მეტად მაყურებელზე მუშაობაა, ასევეა ტელევიზიაშიც, მე ისევ მაყურებლისთვის ვმუშაობ, ჩემი გადაცემა შოუს ჰგავს, ასე რომ, ისევ ჩვეულ ამპლუაში ვარ.

— თქვენი გადაცემა პოპულარულია?

— ბელარუსში არცთუ ბევრი სპორტული პროგრამაა, პირიქით, ვიტყოდი, ძალიან ცოტაც კი, ამიტომ კონკურენციაც არ არსებობს.

— კარიერის დასრულების შემდეგ სპორტსმენებს ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრება უჭირთ, თქვენ?

— ძალიან დამეხმარა ჩემი ხასიათი. როგორც წესი, მე მიღწეულს არასოდეს ვჯერდები. ბელარუსიდან არაერთი მხატვრული ტანვარჯიშე უცხოეთში გადაიხვეწა. მე კი ბრძოლას ვაგრძელებ და თანაც საკმაოდ ენერგიულად.

— პირველად ხართ ჩვენს დედაქალაქში?

— არა. ჯერ კიდევ საბჭოეთის დროს რამდენჯერმე ვიყავი თბილისში. აქ ჩემთვის ყველაფერი ახლობელია. მაგრამ ერთი რომ არ ვთქვა, არ შემიძლია: თქვენი კაცები რაღაც საოცარი ქმნილებები არიან, ოჰ, როგორ მომწონს ქართველი კაცები...

— ალბათ შეამჩნევდით, რომ მათაც ძალიან მოეწონეთ...

— ეს იმიტომ, რომ მარტო ვარ, ხომ ხედავთ, კონკურენცია არც აქ მაქვს.

— სპორტულ წარსულს ხშირად იხსენებთ?

— ვცდილობ, არ გავიხსენო. ეს იყო ჩემი ცხოვრების ლამაზი პერიოდი, რომელიც მორჩა. ახლა ფეხბურთზე გადავერთე.

— მერე, როგორია თქვენი თვალით დანახული ფეხბურთი?

— სპორტის ამ სახეობაზე ვეჭვიანობ თუნდაც იმიტომ, რომ ყველაზე პოპულარული და დაფასებულია. ისე კი, ბელარუსში თითქმის ყველა გუნდში შევიძინე მეგობარი და ახლობელი ადამიანი. ასე რომ, ფეხბურთი ჩემთვის უცხო აღარაა.

— რომელ ცნობილ ქართველ ფეხბურთელს გაიხსენებდით?

— კალაძეს! ის ჩემი სიმპათიაა, ვგიჟდები მის ქართულ გარეგნობასა და იტალიურ სტილზე...

**დავით ერაძე**



# იოჰან კრუიფის ხელდასხმული ჰოლანდია

ჰოლანდიის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს, 39 წლის მარკო ვან ბასტენი. ეს ცნობა ნიდერლანდის სამეფოს ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ შუადღისას გაავრცელა. ვან ბასტენმა თანამდებობაზე დიკ ადვოკაატი შეცვალა. ადვოკაატის ხელმძღვანელობით ჰოლანდიის ნაკრები ევრო 2004-ის ნახევარფინალში გავიდა და იქ პორტუგალიასთან წააგო 1:2

ვან ბასტენი და მისი თანაშემწე, წარსულში ასევე „ორანიეს" ფეხბურთელი ჯონ ვანტ სხიპი ოფიციალური პრესკონფერენციით საზოგადოების წინაშე ორშაბათს წარსდგებიან. ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაში კონტრაქტის დეტალებზე არაფერია ნათქვამი, თუმცა ადგილობრივი პრესა ვარაუდობს, რომ ყოფილ თავდამსხმელს ოთხწლიან კონტრაქტს შესთავაზებდნენ.

ცნობილია, რომ დიკ ადვოკაატის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის დირექტორი, ჰენკ კესლერი რჩევისთვის ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდარულ ფიგურასთან, იოჰან კრუიფთან მივიდა და ვან ბასტენი ვანტ სხიპიანად სწორედ მან ურჩია. საინტერესოა, რომ ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციაზე მარად გაბრაზებულმა კრუიფმა კესლერს, ვან ბასტენის დანიშვნის შემთხვევაში დიდი დახმარება აღუთქვა. ნაკრების ახალ ხელმძღვანელთა შორის იქნებიან ყოფილი ცნობილი ფეხბურთელები, რობ ვიჩგე და მეკარე სტენლი მენცოც. ერთი სიტყვით, თუ ყველაფერი მართლა ასე დამტკიცდება (ვიჩგეს და მენცოს ამბავი დანამდვილებით არ არის ცნობილი), მაშინ გამოდის, რომ „ორანიეს" უხელმძღვანელებენ ის ფეხბურთელები, რომლებმაც 1987 წელს იოჰან კრუიფის ხელმძღვანელობით „აიაქსის" შემადგენლობაში ჩემპიონთა თასი მოიგეს.

შეგახსენებთ, რომ ვან ბასტენმა თამაშს თავი კოჭის მოურჩენელი ტრავმის გამო 1995 წელს დაანება და მას მერე 2002 წლამდე საერთოდ დაკარგული იყო ფეხბურთიდან. 2002 წელს ვან ბასტენი „აიაქსში" მივიდა სარეზერვო გუნდის გაწვრთნაში ვანტ სხიპის დასახმარებლად.

ვანტ სხიპს მთავარი მწვრთნელის რანგში ერთი წელიწადი აქვს ნამუშევარი. ეს 2002 წელს „აიაქსში" გადასვლამდე „ტვენტეში" მოხდა.

შეგახსენებთ ასევე, რომ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფორვარდი, მარკო ვან ბასტენი არიგო საკის დროინდელი ლეგენდარული „მილანის" მოთამაშე იყო, ხოლო 1988 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მისი გოლი ფინალში, საბჭოთა კავშირის ნაკრების კარში, სამარადჟამოდ შევიდა ქრესტომათიაში.

ვან ბასტენი მეორე ფეხბურთელია იმ ევროპის ჩემპიონი ნაკრებიდან, რომელიც „ორანიეს" ჩაუდგება სათავეში. პირველი ფრანკ რაიკარდი (1998-2000) გახლდათ.

მარკო ვან ბასტენი სამჯერ (1988, 1989, 1992) იყო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. 1992 წელს იგი ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს.

**ბაპუნა კედია**



მარკო ვან ბასტენი და ჯონ ვანტ სხიპი



დაიბადა 1964 წლის 31 ოქტომბერს უტრეხტში (ჰოლანდია)

აიაქსი (1981 — 1987): 172 მატჩი, [illegible] გოლი

მილანი (1987 — 1995): 147 მატჩი, 90 გოლი

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები (1983 — 1992): 58 მატჩი, 24 გოლი

# მარკო ვან ბასტენი

*1981* 18 წლისა ჭაბუკთა გუნდ „ელინკვიიკიდან" გადადის ამსტერდამის „აიაქსში"

*1982* ჰოლანდიის ჩემპიონი

*1983* ჰოლანდიის ჩემპიონი და თასის მფლობელი

*1985* ჰოლანდიის ჩემპიონი

*1986* კიდევ ერთხელ ხდება „აიაქსთან" ერთად ჰოლანდიის ჩემპიონი და იგებს „ოქროს ბურთს", 26 მატჩში 37 გოლი გაიტანა

*1987* „აიაქსთან" ერთად კვლავ იგებს ჰოლანდიის თასს. ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში „აიაქსი" მისი გოლით ამარცხებს ლაიპციგის „ლოკომოტივს"

*1987* ადადის იტალიურ „მილანში"

*1988* „მილანთან" ერთად ხდება იტალიის ჩემპიონი, ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი, ფინალში სსრკ-ს მეკარე რინატ დასაევის კარში გააქვს დაუვიწყარი გოლი. სახელდება წლის მსოფლიოს და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად

*1989* „მილანის" შემადგენლობაში იგებს ევროპის ჩემპიონთა თასს, ევროპის სუპერთასს და საკონტინენტთაშორისო თასს და ზედიზედ მეორედ ხდება ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი

*1990* „მილანთან" ერთად კვლავ იმეორებს იგივე მიღწევას. ხდება იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი (26 მატჩი, 19 გოლი)

*1992* „მილანი" ისევ იტალიის ჩემპიონია, ვან ბასტენი კი სერია **A**-ს საუკეთესო ბომბარდირი (31 მატჩი, 25 გოლი). ფიფას და ჟურნალ „უორლდ სოკერის" ვერსიით სახელდება მსოფლიოს და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად

*1993* „მილანთან" ერთად მესამედ იგებს სკუდეტოს, თუმც ჩემპიონთა თასის ფინალში „შავ-წითლები„ 0:1 მარცხდებიან მარსელის „ოლიმპიკთან". მუხლის მძიმე ტრავმამ მის კარიერას საფრთხე შეუქმნა

*1993-1995* მუხლზე უკეთებენ რამდენიმე ოპერაციას და 95-ის ზაფხულში მარკო ვან ბასტენი 28 წლისა იძულებით ასრულებს საფეხბურთო კარიერას

*2002* „სუპერმარკო" სამწვრთნელო კარიერას იწყებს და სამუშაოდ მიდის მშობლიურ „აიაქსში". მას ამსტერდამელთა რეზერვის მომზადება დაავალეს

*2004* 29 ივლისს ოფიციალურად ინიშნება ჰოლანდიის ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად

# ამბიციურმა ბიჭებმა გერმანია იტვირთეს

## მეორე მწვრთნელს ისევ შტუტგარტელებში ეძებენ

გუშინ ოლივერ ბირჰოფმა გერმანიის საფეხბურთო კავშირთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ნაკრების მენეჯერი გახდა. ახლა გერმანიას ჰყავს მწვრთნელი და მენეჯერი, მაგრამ მწვრთნელის თანაშემწე ჯერ ვერ იპოვეს.

კონტრაქტზე ხელმოწერის მერე ოლივერ ბირჰოფმა განაცხადა: „ძალიან მიხარია და სავსე ვარ ამბიციით. ორივე თავდამსხელები ვიყავით და შემტევ გუნდს შევქმნით. მე ფეხბურთელებთან, ბუნდესლიგის გუნდებთან და მედიასთან ურთიერთობა მევალება. კლინსმანს დავეხმარები, მაგრამ მის საქმეში არ ჩავერევი".



იოახიმ ლოუვი

„გერმანიის ნაკრების მწვრთნელობა ჩემთვის დიდი პატივია. ორი კვირის წინ ამაზე ვერც ვიოცნებებდი. ჩვენი მიზანი 2006 წელს ჩემპიონობაა. გულშემატკივრებს გამარჯვება სწყურიათ და მჯერა, რომ საამისოდ ძალა შეგვწევს" — ეს კი კლინსმანის სიტყვებია.

საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი: „აღფრთოვანებული ვარ ოლივერ ბირჰოფის და იურგენ კლინსმანის ამბიციებით. მათ დიდი პასუხისმგებლობა იკისრეს. ახლა თანაშემწის მოძებნა გვჭირდება და ყველაფერი მოწესრიგდება".

ფრანც ბეკენბაუერმა კი თქვა, თანაშემწის მოძებნაში აღარ ჩავერევი, თავად მიხედონ ამ საქმესო. „კიკერის" ცნობით, ჰოლგერ ოსიეკის ადგილზე, რომელმაც კლინსმანთთან თანამშრომლობა იუარა, ორი მწვრთნელის კანდიდატურა განიხილება.

ყველაზე რეალურია 44 წლის იოახიმ ლოუვი. იგი 1996-98 წლებში „შტუტგარტს" თავკაცობდა, კლუბის პრეზიდენტი კი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი იყო. იოახიმ ლოუვი და იურგენ კლინსმანი მეგობრობენ, რაც შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

მეორე კანდიდატი ისლანდიის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი ასგერ სიგურვინსონია, რომელსაც „შტუტგარტში" უთამაშია, თუმც ისლანდიელმა თქვა, ოფიციალურად არავის მოუმართავსო.

**ვაჟა ხუციშვილი**




გუშინ ოლივერ ბირჰოფი იურგენ კლინსმანის ბუნდესნაკრების მენეჯერი გახდა



ემილიო ბუტრაგენიო

# ბუტრაგენიოს არასწორი ბაზარი

## ვენგერს ვიეირას ერთგულების სჯერა

არსენ ვენგერს სწამს, რომ პატრიკ ვიეირა „არსენალიდან“ „რეალში“ გადასვლაზე სულაც არ ოცნებობს, იმავდროულად ვენგერი ამბობს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაცია არ აქვს და რაც თქვა, მხოლოდ მისი რწმენა და სურვილია. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ლაპარაკია მადრიდელების მიერ ლონდონელთათვის 30 მილიონი გირვანქის შეთავაზებაზე – „რეალს“ საყრდენი ნახევარმცველი სჭირდება.

„მე პატრიკის ტვინში არ ვზივარ, მაგრამ მეეჭვება, რომ მას „რეალი“ აინტერესებდეს — ბრძანა ინგლისის ჩემპიონთა მწვრთნელმა — ვფიქრობ, მისთვის ყველაზე ბუნებრივი ჩვენთან ყოფნაა, რადგან „არსენალი“ მისი გუნდია. ის აქ ლიდერია და არც თავი ამოუწურავს, მე მინდა პატრიკი ჩვენი სამომავლო გეგმის ორგანული ნაწილი იყოს და ვიცი, რომ მეტისმეტად ერთგული ადამიანია. მინდა მშვიდად ვიყო, მწამს, რომ ვიეირა არსად წავა და მთავარი ჩემთვის ყველაფერზე მთავარი ეს არის.

პატრიკი ნამდვილი პროფესიონალია, რომელიც თავის საქმეზე ფიქრობს. ის ბევრს ვარჯიშობს და ბევრს მუშაობს, რათა ფორმა მალე აღიდგინოს, თორემ ევროპის ჩემპიონატზე ნამყოფი ფეხბურთელები, ცოტა არ იყოს, ამ წუთისთვის სხვებს ჩამორჩებიან“.

როგორც ცნობილია, „არსენალის“ ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინი უახლოეს დღეებში ვიეირასთან საფუძვლიან და ყოვლის გადამწყვეტ საუბარს აპირებს. საქმე ის გახლავთ, რომ მადრიდელები საკმაოდ მრავალსვლიან ოპერაციას ახორციელებენ თავისი ტყუილებით და პროპაგანდისტული ხრიკებით. მაგალითად, ამასწინათ გავრცელდა ხმა, რომ „რეალსა“ და ვიეირას შორის კონტრაქტის ხელმოწერას წინ აღარაფერი უდგას, მაგრამ ახლა ესპანელების დირექტორმა ემილიო ბუტრაგენიომ შორს დაიჭირა, მე ასეთი რამ არც წამომცდენიაო. ერთი კი ფაქტია, გუნდის იაპონიაში გაშვების წინ „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა განაცხადა, ვიეირას ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპისთვის აუცილებლად გადმოვიყვანო.

ესპანური „მარკა“ წერს, რომ პატრიკ ვიეირამ მადრიდელებთან პირადი ამბები უკვე მოაგვარა და საქმე კლუბებს შორის მოლაპარაკებაზეღაა მისული.

„ერთადერთი, რაც მე ვთქვი, ის არის, რომ პატრიკ ვიეირა მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, ხოლო ხმები, რომ ჩვენ იგი ლამის უკვე ვიყიდეთ, ძალიან გადაჭარბებულია“ — განაცხადა ზემოხსენებულმა ბუტრაგენიომ.

„მგონი, ბუტრაგენიოს ნათქვამმა მართლა გამოიწვია რაღაც უხერხულობა, [illegible] მნიშვნელოვანია, ერთია, ხოლო ფეხბურთელი, რომ ჩვენ [illegible] — დასძინა „რეალის“ მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ.

მაშ ასე, სატრანსფერო დიდოსტატები გზა-კვალს ხლართავენ, ფაქტი კი ამწუთას ერთია:

„პატრიკს ლონდონელებისთვის გათავისუფლება არ უთხოვია და ჯერ არაფერია ცნობილი“ — ბრძანა ფეხბურთელის აგენტმა სტივ კატნერმა.

**პაპუნა კედია**







არსენ ვენგერი: რას ფიქრობს ნეტავ, პატრიკი?

# მეხუთე ბრაზილიელი

## ედმილსონმა კონტრაქტი ტრადიციასთან გააფორმა

ბრაზილიელი ჟოზე გომეშ ედმილსონის ფრანგული „ლიონიდან“ „ბარსელონაში“ ტრანსფერზე ახლახან გაუწყეთ. გუშინწინ ედმილსონმა ახალ გუნდში სამედიცინო შემოწმება გაიარა, გუშინ კი ოფიციალურად წარადგინეს „ბარსელონას“ მოთამაშედ. ბრაზილიელს 15-ნომრიანი მაისურა ერგო. გთავაზობთ ინტერვიუს ედმილსონთან, რომელიც „ბარსელონას“ საინტერნეტო ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა





— თქვენს პირველ შთაბეჭდილებებზე რას გვეტყვით...

— ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემთვის პატივია „ბარსას“ მაისურით თამაში. ვეცდები, ამ კლუბის ღირსება ნებისმიერ მატჩში დავიცვა. ვფიქრობ, კარგი გუნდი გვეყოლება და ბევრ ჯილდოსაც მოვიგებთ.

— „ბარსაში“ თქვენს სამომავლო კარიერას იმედით უყურებთ?

— ვფიქრობ, „კამპ ნოუზე“ გადასვლა ჩემს კარიერას ძალიან წაადგება. საფრანგეთში ოთხი წელი ვითამაშე და სამჯერ „ლიონის“ შემადგენლობაში ჩემპიონი გავხდი. ახლა სწორედ იმის დრო იყო, რომ ჩემპიონატი შემეცვალა და უფრო მაღალი დონის გუნდში გადავსულიყავი. გამოცდილებიდან გამომდინარე, „ბარსაში“ თამაში არ უნდა გამიჭირდეს, თუმცა ისიც ვიცი, რომ პრიმერადივიზიონში და, მით უმეტეს, „ბარსელონაში“ თამაშს ოსტატობასთან ერთად გამარჯვებულის მენტალიტეტიც სჭირდება.

— „ბარსაში“ ყველაზე მეტად რამ მოგხიბლათ?

— აქაურმა გულშემატკივრობამ, „კამპ ნოუმ“ და მდიდარმა ტრადიციამ.

— „კამპ ნოუ“ თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს — აქ რამდენჯერმე გითამაშიათ...

— სამჯერ, ორჯერ ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში კატალონიის ნაკრებს შევხვდით, ერთხელ კი „ლიონთან“ ერთად „ბარსელონას“ ვეთამაშეთ და 0:2 წავაგეთ.

— „ბარსელონაში“ ოთხი ბრაზილიელი დაგხვდათ. ალბათ ამ ფაქტორმაც მოახდინა გავლენა თქვენს გადაწყვეტილებაზე...

— პრეზიდენტმა ლაპორტამ ისინი გუნდში იმიტომ მოიყვანა, რომ კარგი ფეხბურთელები არიან. რა თქმა უნდა, მიხარია, თანამემამულეებთან ერთად რომ ვიქნები, თუმცა ჩემს გადაწყვეტილებაზე ამას გავლენა არ მოუხდენია. როგორც გითხარით, „ბარსელონაში“ თამაში ყოველთვის მინდოდა.

— რონალდინიო და ჟულიანო ბელეტი თქვენი მეგობრები არიან. „ბარსას“ შესახებ ადრე მათთან არ გისაუბრიათ?

— რამდენიმე ხნის წინ რონალდინიოს ველაპარაკე. თავისი გუნდი ძალიან შეაქო, მითხრა, რომ „ბარსა“ დიდებული კლუბია, ქალაქიც შესანიშნავია და ხალხიც სტუმართმოყვარე...

— მოედანზე ყველაზე მოხერხებულად თავს რომელ პოზიციაზე გრძნობთ?

— დაცვის ცენტრშიც შემიძლია თამაში და მარცხენა ფლანგზეც.

—„ბარსას“ მცველებზე რას იტყოდით...

— „ბარსელონა“ ბრაზილიის ეროვნულ გუნდს ჩამოჰგავს. კატალონიელები ცდილობენ მეტოქეს ბევრი გოლი გაუტანონ, თუმცა ამის გამო დაცვა ხშირად უყურადღებოდ რჩება. იმედი მაქვს, სიტუაცია გამოსწორდება. ფრანკ რაიკარდმა კარგად იცის, რომ საიმედო დაცვის გარეშე თავდამსხმელებს მეტოქის დაჯაბნა გაუჭირდებათ და ამიტომაც „ბარსელონას“ უკანა ხაზის გაძლიერებას ცდილობს. დღეს გუნდი მაღალი დონის მცველებითაა დაკომპლექტებული.

— თქვენ ჩემპიონთა ლიგაში თამაშით დიდი გამოცდილება მიიღეთ. ახლა კი ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში „ბარსელონას“ მაისურით მოგიწევთ ბრძოლა...

— ჩემპიონთა ლიგის ბოლო ხუთ გათამაშებაში ვმონაწილეობდი. ამ ტურნირის უკვე ბევრი რამ გამეგება და ვთვლი, რომ „ბარსელონა“ ლიგის ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტი იქნება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავიდსი და გოლიათი



აწ უკვე „ინტერის" ნახევარმცველი, ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი ახალი სეზონის წინ საკმაოდ თავდაჯერებული გახლავთ. შეგახსენებთ, რომ პიტბულად წოდებულმა ფეხბურთელმა მილანელ „შავ-ლურჯებთან" ამ ზაფხულს გააფორმა კონტრაქტი, მას მერე, რაც „ბარსელონაში" დარჩენაზე უარი განაცხადა.

„თავიდან მომავალ კონტრაქტზე ბარსელონელებს ველაპარაკებოდი და ეს სწორი ნაბიჯი იყო, რადგან „ბარსელონა" პირველი კლუბი გახლდათ, რომელსაც ჩემზე თვალი ეჭირა, — განაცხადა დავიდსმა — მაგრამ შემდეგ ისეთები ამბები მოხდა, რასაც ვერაფრით მოვიწონებდი და პატივს ვერ ვცემდი, ხოლო ამასთან ერთად გამოჩნდნენ სხვა კლუბებიც. ამ კლუბებიდან ჩემთვის უპირველესად მისაღები გახლდათ „ინტერი", მე ვესაუბრე მარკო ბრანკასა და მასიმო მორატის, რომელთაც ჩემი შეხედულებები გაამყარეს და საბოლოოდ თავიანთი გეგმაც გამაცნეს."

მოგეხსენებათ, „ინტერი" რამდენიმე სეზონია ვერ არის ისე ძლიერი, როგორც ამ გოლიათური მასშტაბისა და გაქანების კლუბს შეშვენის, მაგრამ დღეს სხვა ვითარებაა და ამაში ჰოლანდიელი ნახევარმცველი აბსოლუტურად დარწმუნებულია.

„ჩვენ ყოველ ამპლუაში ბევრი ფეხბურთელი გვყავს და განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ბევრი მათგანი უბრალოდ დიდი ფეხბურთელია, ისეთი, როგორებიც გამარჯვებებს განაპირობებენ. ჩემს ოსტატობაზე რა გითხრათ. მგონი მის შესახებ ყველასთვის ყველაფერი ძალიან კარგად არის ცნობილი და ამიტომაც ისეთ გუნდში მოხვედრა, რომელსაც რაიმე დიდის მიღწევა შეუძლია, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო" — დასძინა დავიდსმა.

**ბაკუნა ბედია**

# დაბრუნება ამერიკაში, ოღონდ ამერიკაში

## კლაუდიო ლოპესს მექსიკაში ელიან



არგენტინელი ვარსკვლავი კლაუდიო ლოპესი თავისუფალია და შეუძლია მექსიკურ კლუბ „ამერიკასთან" გააფორმოს კონტრაქტი. ერთი სიტყვით, მისი იტალიელი მფლობელი, „ლაციო" არ ედავება

როგორც ირკვევა, მექსიკელები ადრე „ვალენსიაში" ნათამაშებ ვარსკვლავს ბოლო რამდენიმე დღეა, რაც დაუკავშირდნენ, მაგრამ მხარეები გადაჭრით ვერაფერზე თანხმდებოდნენ, რადგან ლოპესს „ლაციოსთან" ჯერ კიდევ აკავშირებდა კონტრაქტი. ახლა, როგორც გითხარით, ყველაფერი მოგვარებულია.

„ამერიკაში" საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელები და უცხოელები თამაშობენ. აქ არიან რეინალდო ნავია, რიკარდო ვალენსუელა, ორასიო ამელი და ჯალმინია.

30 წლის კლაუდიო ლოპესისთვის მექსიკაში გადასვლა ერთგვარი გამოცდაც იქნება, რადგან ის ბოლო 8 წელიწადია, ევროპაში ცხოვრობს და თამაშობს, სადაც ყველაზე წარმატებული პერიოდი „ვალენსიაში" ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ არგენტინელი „ლაციოში" ყოველწლიურად 2,5 მილიონ ევროს იღებდა. ასე რომ, მისი გაშვებით რომაელებმაც გვარიანი ხარჯი მოიშორეს თავიდან და როგორც ირკვევა, არც თავად ფეხბურთელი დარჩება გულნატკენი, რადგან „ამერიკა" ზუსტად ისეთივე გასამრჯელოს მიცემას მოუხერხებს.

**ბაკუნა ბედია**

*დორტმუნდის „ბორუსიას" ჩეხი თავდამსხმელი იან კოლერი ამბობს, რომ კვლავ ძალიან სურს „მარსელში" გადასვლა. არადა, მოგეხსენებათ, რომ სულ რაღაც ერთი კვირის წინ გერმანულმა კლუბმა ეს მოლაპარაკება ჩაშალა, რადგან ტრანსფერის სანაცვლოდ ფრანგებისგან 7 მილიონ ევროს ითხოვს, რისი გადახდის თავიც მათ არ აქვთ.*

# იან კოლერს გული და ცოლი მარსელს მუზნება



„უკვე 31 წლის ვარ და ვფიქრობ, რომ ეს შესაძლოა, ჩემი ბოლო დიდი ტრანსფერიც იყოს — გულწრფელად აღიარა კოლერმა — თუ მოლაპარაკებები საბოლოოდ მაინც შედგება, მე დაუყოვნებლივ მოვუწერ ფრანგებს კონტრაქტზე ხელს. თან, წინადადება იმიტომ მხიბლავს, რომ აქამდე მხოლოდ ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში მითამაშია. ჩემი მეუღლეც კი მოხიბლულია სამხრეთ საფრანგეთის კლიმატით და თბილი ზღვით, მაგრამ მეორე მხრივ, თუ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, პრობლემა არ არის, ხელშეკრულების თანახმად 2006 წლამდე „დორტმუნდში" დავრჩები."

მეორე მხრივ, დორტმუნდელებს ფული სჭირდებათ და სულ არ არის გამორიცხული, რომ მათი ამასწინდელი უარი უბრალოდ ვაჭრობის ხერხი იყოს და მეტი არაფერი. სავარაუდოდ, გერმანული კლუბი სწორედ კოლერს და მის თანამემამულე ტომაშ როსიცკის გაყიდის, რათა მონაგები ფულით ცოტა ამოისუნთქოს.

**ბაკუნა ბედია**

# მონაკო: სავიოლას სათადარიგო გუნდი



ზიდენტ ლაპორტას ბანაკი „ბარსას" სამომავლო გეგმებიდან სავიოლას გამორიცხვას არ ჩქარობს. „სავიოლა ჩვენთვის საჭირო ფეხბურთელია. კარგი იქნება, იგი კვლავაც ჩვენთან თუ დარჩება" — უთხრა კატალონიურ „სპორტს" „ბარსელონას" მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა.

არგენტინელ ხავიერ სავიოლას სამომავალსეზონოდ „ბარსელონაში" დარჩენა კი სურს, მაგრამ თუ კლუბის უფროსობამ მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება აღარ ინდომა, ოკეანისგაღმელი ბაჭია, სავარაუდოდ, ფრანგულ „მონაკოში" გადავა.

„სავიოლას „ნიუკასლის", „მანჩესტერ იუნაიტედის", „მარსელის", „მონაკოსა" და მადრიდის „ატლეტიკოს" წინადადებები გავაცანი. ხავიერს „ბარსელონაში" თამაშის გაგრძელება უფრო აინტერესებს, თუმცა თუ ეს არ მოხერხდა, სამომავლო გუნდად აუცილებლად „მონაკოს" ავირჩევთ" — განაცხადა გუშინ ფეხბურთელის აგენტმა ალფრედო კაბრეირამ.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონამ" ორი ახალი თავდამსხმელი შეიძინა — შვედი ჰენრიკ ლარსონი და ფრანგი ლუდოვიკ ჟიული. ამჟამად კატალონიური გრანდის თავკაცნი პატრიკ კლუივერტის ობლადდარჩენილი პოზიციის შევსებას ცდილობენ, რადგან ჰოლანდიელი ბობი რობსონის „ნიუკასლში" გაასხვისეს. სავიოლას კი საახალსეზონოდ გუნდის მზადებაში მონაწილეობა არ მიუღია და ამას ვერც უახლოეს მომავალში შეძლებს — ბაჭიამ ჯერ „კოპა ამერიკაზე" ითამაშა, ხოლო აგვისტოში ათენის ოლიმპიადაზეც იბურთავებს. მიუხედავად ამისა, პრე-

**ლადო ხომერიკი**

## ამხანაგური მატჩი

**მანჩესტერი 1:2 სელტიკი**

0:1 სატონი (9), 1:1 ა. სმიტი (35), 1:2 ბიტი (71)

## აშშ

MLS. XVIII ტური

კოლამბუსი — დალასი 2:1; კანზასი — ნიუ იორკი 1:2; კოლორადო — ჩიკაგო 2:0

## აზიის თასი 2004

მეოთხედფინალი

30-31 ივლისი

უზბეკეთი — ბაჰრეინი

ჩინეთი — ერაყი

იაპონია — იორდანია

სამხრეთ კორეა — ირანი

## რუსეთი

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

**სპარტაკი 1:0 როსტოვი**

1:0 პავლიუჩენკო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 18 | 11 | 3 | 4 | 35:23 | 36 |
| ტორპედო | 18 | 10 | 5 | 3 | 32:16 | 35 |
| ლოკომოტივი | 17 | 10 | 4 | 3 | 25:12 | 34 |
| კრილია | 18 | 10 | 4 | 4 | 30:26 | 34 |
| ცსკა | 18 | 9 | 7 | 2 | 29:15 | 34 |
| მოსკოვი | 17 | 6 | 5 | 6 | 22:21 | 23 |
| სატურნი | 18 | 4 | 11 | 3 | 19:16 | 23 |
| სპარტაკი | 16 | 6 | 3 | 7 | 25:26 | 21 |
| ამკარი | 18 | 4 | 8 | 6 | 14:24 | 20 |
| რუბინი | 18 | 4 | 8 | 6 | 18:18 | 20 |
| როსტოვი | 18 | 5 | 4 | 9 | 19:25 | 19 |
| ალანია | 18 | 5 | 4 | 9 | 16:25 | 19 |
| დინამო | 18 | 4 | 7 | 7 | 18:21 | 19 |
| შინიკი | 16 | 4 | 6 | 6 | 11:16 | 18 |
| კუბანი | 17 | 2 | 7 | 8 | 15:25 | 13 |
| როტორი | 17 | 1 | 4 | 12 | 16:35 | 7 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# მოქალაქე შალკე

## შეხურებული მადრიდელები ბელგრადში დაცხრნენ



ოფკ — „ატლეტიკო“. ბელგრადელთა დაცვა მუსამპამ აიკლო

ერთი კვირის წინ დორტმუნდში „ბორუსიას“ მძლეველმა „გენკმა“ ამჯერად შინ „ლეირიას“ ვერ მოუგო.

ბელგიელთა ბრაზილიელ ფორვარდ იგორ დე კამარგოს, რომელმაც დორტმუნდელებს წყვილი გოლი გაუტანა, სამი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, თუმც სტუმართა მეკარე ჰელტონმა ბრაზილიელს სამჯერვე აჯობა.

ლეირიელმა ედსონ სილვამ შორეული დარტყმით „გენკის“ კარის ხარიხა შეატორტმანა, ხოლო მოგვიანებით მისი პასით ფრედერიკო სანტოსმა ახლოდან ვერ გაიტანა.

„ვილიარეალმა“ „ჰამბურგი“ მეორე ტაიმში სონი ანდერსონის პენალტით გატეხა. შესვენებამდე ანდერსონმა ორჯერ დააწიოკა მეტოქე მცველები. მეკარესთან პირისპირ გასულმა ბურთი პიკენჰაგენს თავზე გადაავლო, მაგრამ რაფაელ ვიკი კარის ხაზზე დაუხვდა. მერე კი საჯარიმოში შეჭრილ ბრაზილიელს ბურთი დანიელ ვან ბუიტენმა ააცალა.

„ჰამბურგის“ მთავარმეგოლე ბერნანდო რომეოს მეორე ნახევრის დასაწყისში ემილ მპენზას პასით შეეძლო გატანა — მცველებს გაექცა, თუმც უხეიროდ დაარტყა.

ამის შემდეგ სტუმართა საჯარიმოში ხოსე მარი წააქციეს და „ვილიარეალმა“ ანდერსონის შესრულებული თერთმეტმეტრიანით მოიგო.

„ესბიერგი“ „შალკესთან“ მალევე რომ დაწინაურდა, სტუმართა დაცვის ბრალია. ლუჩენამ კარიდან რვა მეტრში მიიღო ბურთი და ფრანკ როსტს კუთხეში ჩაუსვა.

ტაიმის მიწურულს „ხუმარებმა“ აილტონის წყალობით გაათანაბრეს. გოლი იორგ ბიომეს ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა.

მეორე ნახევრის შუაწელიდან „შალკე“ მასპინძელთა ნახევარს მიეძალა და ჰამიტ ალტინტოპის პასი მაიკ ჰანკემ გამოიყენა — ახლოდან თავით შეაგდო, ბოლოს კი ალტინტოპმა ცაციით მესამე მიაყოლა. მადრიდის „ატლეტიკოს“ მწვრთნელმა სეზარ ფერანდომ, გასულ კვირას შინ, „ულინთან“ მარცხის (0:2) შემდეგ შეგირდები გვარიანად შეახურა. შედეგად მადრიდელებმა ბელგრადში იმარჯვეს.

ანგარიში არიელ იბაგასმ გახსნა, პირველი ტაიმის მიწურულს კი ფერნანდო ტორესმა პენალტით იხეირა.

მასპინძელმა შიმიჩმა მეორე ნახევრის დასაწყისში თავური დარტყმით ერთი გაქვითა, მაგრამ დიეგო სიმეონემ შეტევის იშტაზე მოსული ბელგრადელები მესამე გოლით დააცხრო.

„ლიბერეცმა“ „ნანტის“ კარი ამტვრია, მაგრამ მხოლოდ ერთ გოლს დასჯერდა. ჩეხები პოსპიშილმა დააწინაურა — პაპოუშეკმა საჯარიმო დარტყმა შეასრულა, ნიკოლა სავინომ მოიგერია, პოსპიშილმა კი მცველებს დაასწრო და წამოწოლილ მეკარეს გაუტანა.

მეორე ტაიმში სავინო აქეთ-იქით ახტუნავეს. მან ჰოლოშკოს სამჯერ აუღო, მეოთხედ კი ნანტელები ძელმა იხსნა.

71-ე წუთზე სტუმარი და როჩა უხეშობისთვის გააძევეს. მასპინძლები კაცნაკლულ მეტოქეს შეესივნენ, ხოლო ჰოლოშკომ კიდევ ერთი მომენტი ვერ გამოიყენა.

„ლილმა“ ხორვატიული „სლავენი“ სამი გოლით გაისტუმრა და საპასუხო მატჩისთვის საკმაო მარაგი შეიქმნა. ფრანგები ჯერ ლანდრინმა გაახარა, მერე ფილიპ ბრუნელმა მეორე მიართვა „სლავენს“ და სტუმართა რბევა აჩიმოვიჩმა შესვენების შემდეგ დაასრულა.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ინტერტოტოს თასი 2004
### ნახევარფინალი. პირველი მატჩები

ოფკ (სერბეთი) 1:3 ატლეტიკო (ესპანეთი)
0:1 იბაგასა (18), 0:2 ფ. ტორესი (41პ), 1:2 შ. შიმიჩი (54), 1:3 სიმეონე (66)

ლილი (საფრანგეთი) 3:0 სლავენი (ხორვატია)
1:0 კ. ლანდრინი (8), 2:0 ბრუნელი (29), 3:0 აჩიმოვიჩი (48)

ესბიერგი (დანია) 1:3 შალკე (გერმანია)
1:0 ლუჩენა (8), 1:1 აილტონი (40), 1:2 ჰანკე (71), 1:3 ჰამიტ ალტინტოპი (87)

ლიბერეცი (ჩეხეთი) 1:0 ნანტი (საფრანგეთი)
1:0 პოსპისილი (26)

გენკი (ბელგია) 0:0 ლეირია (პორტუგალია)

ვილიარეალი (ესპანეთი) 1:0 ჰამბურგი (გერმანია)
1:0 ანდერსონი (62პენ.)



„ესბიერგი“ — „შალკე“. დაწინაურებულ დანიელებს აილტონმა გაუთანაბრა

### გერმანია
### ლიგის თასი. 1/2 ფინალი

**ბაიერნი 3:0 ლევერკუზენი**
1:0 ზე რობერტო (5), 2:0 ბალაკი (65), 3:0 ფრინგსი (67)
**ბაიერნი:** კანი, გიორლიცი, თ. ლინკე, დემიკელისი, სალიჰამიჯიჩი (ტროხოვსკი 79), დაისლერი, ფრინგსი, ბალაკი, ზე რობერტო (იერემისი 66), მაკაი, სანტა კრუზი
**მწვრთნელი:** ფელიქს მაგათი
**ლევერკუზენი:** ჰ. ბუტი, ბალიტჩი, როკე ჟუნიორი, კალსენი, ბრაკერი, ბაბიჩი, ფრაიერი (ბიროფკა 60), რამელო, ბ. შნაიდერი, კრჟინოვეკი (დუმი 74), ბერბატოვი, ფრანცა (ვორონინი 46)
**მწვრთნელი:** კლაუს აუგენტალერი
**გაფრთხილება:** ბალიტჩი
**მსაჯი:** მეიერი
10 100 მაყურებელი

# მაგათის სამაგალითო დებიუტი

ფელიქს მაგათის ხელქვეით მიუნხენის „ბაიერნმა“ პირველი ოფიციალური მატჩი მოიგო.

„ლევერკუზენს“ ვძლიეთ, მაგრამ მეტოქე აშკარად არ იყო ფორმაში. შესვენებისას ბიჭებს ვუთხარი, რომ 1:0 საკმარისი არაა. მათ მეორე ტაიმში ჩემი დავალება ფრიადზე შეასრულეს. დაცვაშიც ყურადღებით ითამაშეს და ორი გოლიც გაიტანეს“ — თქვა გამარჯვებულთა მწვრთნელმა.



ფელიქს მაგათი

გერმანიის ლიგის ნახევარფინალური შეხვედრა ბერლინში გაიმართა. „ბაიერნის“ შემადგენლობაში ფრინგსის, გიორლიცისა და ჰაშემიანის დებიუტი შედგა. ბასტიან შვაინსტაიგერი, ვილი სანიოლი, ალექსანდრ ციკლერი და კლაუდიო პიზარო ტრავმირებულნი არიან.

კლაუს აუგენტალერს ჟუანი და პლასენტე არ ჰყავდა, რომლებიც „კოპა ამერიკაზე“ იყვნენ და ისვენებენ, ხოლო იენს ნოვოტნი ჯერ არ მოკეთებულა.

„ბაიერნი“ „ლევერკუზენზე“ ყოჩაღი ჩანდა. ბურთსაც უკეთ აგორებდა და ანგარიშიც მალე გახსნა. დაისლერის დაწყებული კომბინაცია სანტა კრუზმა გააგრძელა, ზე რობერტო ბურთით მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, ბუტს შემოურბინა და ცარიელ კარში შეასრიალა.

პირველ ტაიმში როი მაკაის და მიხაელ ბალაკსაც ჰქონდათ თითო საგოლე მომენტი, მაგრამ ვერ გამოიყენეს, თუმც ბალაკმა შეცდომა შესვენების შემდეგ გამოასწორა და ჰანს იორგ ბუტი მეორედ დაამწუხრა. ახალწვეულმა ტორსტენ ფრინგსმა მალევე მესამეც მიაყოლა და დებიუტი გოლით გაილამაზა.



მიხაელ ბალაკმა მოედანი უგოლოდ არ დატოვა

„გუნდის ძირითადი შემადგენლობა ჯერ ვერ შევკრიბე და „ბაიერნმა“ აშკარად გვაჯობა. ორი გოლი მცველების უხეში შეცდომით გავუშვით. ბუნდესლიგის დაწყებამდე დრო ჯერ გვაქვს და ვიმედოვნებ, რომ 7 აგვისტოსთვის უკეთეს ფორმაში ვიქნებით“ — განაცხადა „ლევერკუზენის“ მწვრთნელმა კლაუს აუგენტალერმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რა სისულელეა!

## რა იგულისხმა ერიქსონმა ამ სისულელეში?

## შვედის მოხსნა 14 მილიონი ღირს



**ინგლისში სვენ გორან ერიქსონის პირადი თუ ნაკრების მწვრთნელის ზოგადი კრიზისი გრძელდება და სულ უფრო გამოკვეთილ სახეს იღებს. ეს კრიზისი მართლაც მრავალმხრივია, მას ეკლებიანი მცენარის მსგავსად თითო ეკალი ყველა მიმართულებით აქვს გაშვერილი, ასე რომ, უმტკივნეულოდ, წესით, ვერც ერთი მონაწილე მხარე ვერ უნდა გამოვიდეს. მოდით, დავაკონკრეტოთ, რას ნიშნავს ეს**

დავიწყოთ იმით, რომ ფეხბურთის ასოციაციის თორმეტკაციანი საბჭო, რამდენადაც ცნობილია, მომავალ სამშაბათს უნდა შეიკრიბოს და შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით თავისი საბოლოო გადაწყვეტილება თქვას. ცნობილია აგრეთვე, რომ ამ თორმეტი პატივცემული გვამის დიდ უმეტესობას ბრაზი ახრჩობს და ერთი სული აქვს, როდის დაიფრენს შვედს სამსახურიდან, ანუ სავარაუდოდ, შემდეგ სამშაბათს ინგლისელები ერიკსონს თანამდებობიდან გაათავისუფლებენ. ეს, ცხადია, ეკლების ენაზე რომ ვილაპარაკოთ, სვენს ეჩხვლიტება, მაგრამ აბა, ახლა ვნახოთ, იგივე ეკალი შეიძლება თუ არა ფეხბურთის ასოციაციასაც ეჩხვლიტოს. სვენი თუ წავა, კონტრაქტის შესაბამისად კომპენსაციას მოითხოვს, კომპენსაცია კი მას 7,5 მილიონი გირვანქის ტოლფასი ეკუთვნის — ორწლიანი ხელშეკრულების ჩაშლაზეა ლაპარაკი. და მეტიც, არის ვარიანტი, რომ ერიკსონის ვექილებმა შეიძლება სულაც 14 მილიონი გირვანქა მოითხოვონ, ვინაიდან ხელშეკრულებაში ორი წლის შემდეგ კიდევ ორით გაგრძელების უპირატესობაზეც ყოფილა რაღაც პუნქტი შეტანილი. ერთი სიტყვით, ლონდონში მწვრთნელის თანამდებობიდან გაშვება შეიძლება არანორმალურ თანხად დაუჯდეთ, ხოლო თუ ამ თანხის გადახდა არ სურთ, მაშინ კეთილი უნდა ინებონ და მექალთანე შვედი 2006 წლამდე აიტანონ.

გამოსავალი რა არის? გამოსავალი ასეთია: ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ვექილებმა თავის მხრივ უნდა გამოიჩინონ ფხა და დაამტკიცონ, რომ მთელ არეულობაში მთავარი დამნაშავე არც მეტი, არც ნაკლები, სვენ გორან ერიკსონია. ერთი სიტყვით, სვენის სამსახურიდან გაგდება თან გაგდება უნდა იყოს და თან სვენის ბრალი. ახლა, ვინმემ შეიძლება იკითხოს, რატომ არ არის ეს შესაძლებელი, ყველაფერი ხომ მართლა შვედი მწვრთნელის გამო დაიწყოო.

მოდით გავიხსენოთ: სვენ გორან ერიკსონმა ფეხბურთის ასოციაციაში მდივნად მომუშავე ქალი, იმავდროულად თავისი უშუალო უფროსის, მარკ პელიოსის საყვარელი ფერია ელამი შეაცდინა. ეს ამბავი ყვითელმა პრესამ შეიტყო და ასოციაციას მის გადასამოწმებლად მიაკითხა. ვინაიდან ისტორიაში მისი თანამშრომელი იყო ჩათრეული, ასოციაციამ, ცხადია, ოფიციალური განცხადების გაკეთება გადაწყვიტა და თავად ჰკითხა ერიკსონს, მართალი იყო თუ არა ელამის შეცდენის ამბავი. ერიკსონმა სიტყვასიტყვით ასე მიუგო: „რა სისულელეა“. ამ სიტყვებზე დაყრდნობით ასოციაციამ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ეწერა, რომ ბატონი ერიკსონის და ქალბატონ ელამის ურთიერთობა მონაჩმახია და მეტი არაფერი. ასეთი პასუხი ყვითელ და ინფორმირებულ წერილები მოქექა. გამოვიდა, რომ ერიკსონმა ამხელა ორგანიზაციას ტყუილი აკადრებინა.

ახლა კი, დავუბრუნდეთ ვექილებს: ფეხბურთის ასოციაციის ვექილებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ერიკსონის ნათქვამი „რა სისულელეა“, ნიშნავდა იმას, რომ მას და ფერია ელამს შორის არაფერი მომხდარა, ხოლო ერიკსონის ადვოკატები შეეცდებიან დაამტკიცონ, რომ ეს „რა სისულელეა“ იყო პირველი ორი სიტყვა წინადადებისა: რა სისულელეა ჩემს პირად ცხოვრებაში ჩარევა.

აი, ამის შემდეგ მოდი და თქვი, ვინ იქნება სვენ გორან ერიკსონის შემცვლელი ინგლისის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე და როდის დანიშნავენ მას. თუკი ერიკსონი 14 მილიონს წაიღებს და ისე წავა (ფეხბურთის ასოციაციას შარშანდელი მოგება 8,9 მილიონი გირვანქის ტოლი გახლდათ) ახალი მწვრთნელის დანიშვნა ლონდონელ შეფებს ოი, როგორ გაუჭირდებათ.

და ბოლოს, ჟურნალისტებმა ინგლისელი მწვრთნელები გამოჰკითხეს. საუბარია იმ ხალხზე, ვინც პირდაპირ თუ ირიბად ამ დღეებში ახსენეს, როგორც ნაკრების მომავალი დროებითი ან მუდმივი ხელმძღვანელი. თითოეულმა მათგანმა ხაზი გაუსვა, რომ ამ ქვეყანაში ნაკრების სათავეში ჩადგომა პირადი ცხოვრების გაუქმების ტოლფასია და აქ მხოლოდ საყვარლების ყოლაზე არ არის საუბარი.

**პაპუნა ძიძია**

### ფეხბურთის რუკასთან

**ბრაზილიური** „ფლუმინენსეს“ 21 წლის მცველი როდოლფო შესაძლოა, კიევის „დინამოში“ გადავიდეს. ფეხბურთელი ახლა უკრაინაშია და თუ ყველაფერი კარგად აეწყო, კიეველები კონტრაქტსაც გაუფორმებენ, ხოლო „ფლუმინენსე“ 2 მილიონ დოლარს მიიღებს. ბრაზილიური კლუბის პრეზიდენტ დავიდ ფიშელის თქმით, მათთვის ეს ტრანსფერი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მოთამაშეთა ხელფასები დასარიგებელი აქვთ.

**ესპანურმა** „რეალმა“ რიკარდუ კარვალიუს გადაბირება ვერ შეძლო და ამბობენ, ახლა ივან კორდობას უტრიალებსო. „ინტერი“ კოლუმბიელის გასხვისებაზე უარს არაა, რადგანაც გუნდში ცოტა ხნის წინ არგენტინელი ნიკოლას ბურდისო გამოჩნდა.

**ინგლისური** „არსენალის“ ყოფილ ნახევარმცველ სილვენ ვილტორდს რომ „იუვენტუსი“ აკვირდებოდა, ძველი ამბავია. თავად ფეხბურთელი კი ფორმის შესანარჩუნებლად „რენში“ ვარჯიშობს. მან ტურინელთა წინადადების მოლოდინში „მანჩესტერ სიტისა“ და „ტოტენჰემის“ შემოთავაზებები არ მიიღო. თუმცა ახლა „ბებერი ქალბატონის“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ საჯაროდ განაცხადა, ვილტორდი ჩემს გუნდს ვერ გააძლიერებსო.

**ესპანური** „რეალის“ ფორვარდმა რონალდომ ვარჯიშისას მუხლი დაიშავა. იცით, მადრიდელები იაპონურ ტურნეზე არიან და ეგებ ბრაზილიელს მისი გამოტოვებაც მოუხდეს. თუმცა ყველაფერი საბოლოოდ მას მერე გაირკვევა, როცა „კიჭა“ სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

**ინგლისური** „ევერტონის“ შვედი ნახევარმცველი ტობიას ლინდეროტი დანიური „კოპენჰაგენში“ გადაბარგდება. 25 წლის სკანდინაველმა ლივერპულური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა. „ტობიასმა მითხრა, რომ სამშობლოსთან და მეგობარ გოგონასთან უფრო ახლოს უნდა ყოფნა. ვფიქრობ, ყველაფერს მალე მოვაგვარებთ და ეს ტრანსფერიც განხორციელდება“ — თქვა „ევერტონის“ თავკაცმა დევიდ მოიესმა.

**რუსულ** პრემიერლიგაში პირველი ბელგიელიც გამოჩნდა. ყაზანის „რუბინმა“ „გენკისგან“ 26 წლის ფორვარდი სედრიკ რუსელი შეიძინა. კონტრაქტის პირობები და ტრანსფერის ფასი არ ხმაურდება. აღსანიშნავია, რომ რუსელმა ინგლისური პირველი დივიზიონის ბინადარ „ვულვზსა“ და „ქოვენთრის“ რატომღაც „რუბინი“ არჩია.

**ინგლისური** „ვულვერჰემპტონი“ 1,8 მილიონ გირვანქად სენეგალელ თავდამსხმელ ანრი კამარას „სელტიკში“ განათხოვრებას უპირებს. 2003 წელს კამარა ფრანგული „სედანიდან“ 1,5 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ გადაბარგდა „მგლებში“.

**იტალიური** „სიენა“ მზადაა წამყვან ნახევარმცველ როდრიგო ტადეის შეელიოს. ფეხბურთელის გადაბირება „რომას“ სურს და „სიენას“ ფულთან ერთად ახალგაზრდა პლეიმეიკერ გაეტანო დაგოსტინოს უთმობს. შესაძლოა, ტრანსფერი მალეც განხორციელდეს.

**რუმინულ** „სტიაუას“ ახლო წარსულში ცნობილი იტალიელი მეკარე ვალტერ ძენგა გაწვრთნის. მისი დანიშვნა სპონტანურად მოხდა, „სტიაუას“ შეფებმა ვიქტორ პიცურკა გაათავისუფლეს და ძენგასაც სულ რაღაც სამ საათში ჩააბარეს პოსტი. რუმინეთის ჩემპიონატი კი სამ დღეში იწყება.

## ამხანაგური მატჩები

### იჩიჰარა 1:3 რეალი

1:0 მარკინოში (7), 1:1 გუტი (23), 1:2 რაული (36), 1:3 სოლარი (90)

**იჩიჰარა:** კუშინო, იუკი, მილინოვიჩი, საიტო, მიზუმოტო (მიძუნო 87), იამაგიში (რაკუიამა 52), სატო (იჩიარა 75), ნაკაიმა (მაკი 46), მურაი, მარკინოში (შაიაში 46), სანდრო

**რეალი:** კასილიასი, სალგადო, ვ. სამუელი (სელადესი 64), პავონი, რობერტო კარლოსი (რაულ ბრავო 65), ფიგუ (ნუნიესი 65), ბექჰემი, ი. ელგერა, გუტი (სოლარი 59), რაული (მეხია 81), მორიენტესი

**მწვრთნელი:** ხოსე ანტონიო კამაჩო

**მსაჯი:** იოშიდა (იაპონია)

51 840 მაყურებელი

### სუვონი 1:0 ბარსელონა

1:0 ურუმოვი (78)

**სუვონი:** დაე-შვან კიმი, სეო იონი (იონგ ლი 46), ჰი კვაკი, მ. მუსა (ბიუნგ ლი 35), ჩო სუნი, ჩოი სუნი (კონ პარკი 76), ჯინ კიმი, დაე-შო იონი, დაე-უი კიმი, ნ. როდრიგესი (დონგ კიმი 60), ნარსონი (ურუმოვი 66)

**ბარსელონა:** ვ. ვალდესი, ბელეტი (გაბრი 55), პუიოლი (მორა 79), ოლეგერი, სილვინიო, ხერარდი, ხავი (მარკესი 63), ვან ბრონკჰორსტი, ჟიული (ინიესტა 55), რონალდინიო, ლარსონი (ლუის გარსია 55)

**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკარდი

**მსაჯი:** სან-იონ ლი (სამხრეთ კორეა)

25 000 მაყურებელი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). I ტური | | | | | | |
| | | 30 ივლისი | | | | | | |
| 21.00 | 003 | ვერდერი(მ)-ლიუბეკი | 2,35 | 3,3 | 2,5 | 1,37 | 1,21 | 1,42 |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 16.00 | 004 | მიუნსტერი-ფორტუნა | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 16.00 | 005 | ვუპერტალი-ზ.პაული | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 16.00 | 006 | კილი-ჰამბურგი(მ) | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 16.00 | 007 | ურდინგენი-პადერბორნი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 16.00 | 008 | ბრაუნშვაიგი-დორტმუნდი(მ) | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 15.30 | 009 | ჰერტა(მ)-უნიონი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 16.00 | 010 | ვოლფსბურგი(მ)-არმინია(მ) | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 16.00 | 011 | კიოლნი(მ)-ოსნაბრიუკი | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,57 | 1,23 | 1,28 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა. III ტური | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 21.30 | 014 | ზალცბურგი-ტიროლი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 21.30 | 015 | შტურმი-ადმირა | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 21.30 | 016 | ბრეგენცი-გრაცერი | 3,8 | 3,3 | 1,8 | 1,76 | 1,22 | 1,16 |
| 21.30 | 017 | მატერსბურგი-პაშინგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 21.30 | 018 | აუსტრია-რაპიდი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა. III ტური | | | | | | |
| | | 30 ივლისი | | | | | | |
| 22.00 | 032 | სერვეტი-ბაზელი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 21.30 | 033 | ქსამაქსი-აარაუ | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 21.30 | 034 | ციურიხი-თუნი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 21.30 | 035 | შაფჰაუზენი-სტ.გალენი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა. I ტური | | | | | | |
| | | 30 ივლისი | | | | | | |
| 21.30 | 038 | კიასო-ბადენი | 1,6 | 3,5 | 4,6 | 1,09 | 1,18 | 1,98 |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 18.30 | 039 | კონკორდია-კრინსი | 2,1 | 3,2 | 3,0 | 1,26 | 1,23 | 1,54 |
| 19.00 | 040 | ვილი-ვოლენი | 1,8 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,19 | 1,69 |
| 19.30 | 041 | ბულე-ბელინცონა | 2,25 | 3,2 | 2,7 | 1,32 | 1,22 | 1,46 |
| 21.30 | 042 | ივერდონი-ვინტერთური | 1,6 | 3,5 | 4,6 | 1,09 | 1,18 | 1,98 |
| 21.30 | 043 | ლუცერნი-შო დე ფონი | 1,6 | 3,5 | 4,6 | 1,09 | 1,18 | 1,98 |
| 21.30 | 044 | ლუგანო-იუვენტუსი | 1,6 | 3,5 | 4,6 | 1,09 | 1,18 | 1,98 |
| 21.30 | 045 | სიონი-ბულმე | 1,45 | 3,6 | 6,0 | 1,03 | 1,16 | 2,25 |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 18.00 | 046 | ვადუცი-მეირინი | 1,5 | 3,6 | 5,3 | 1,05 | 1,16 | 2,14 |
| | | დანია. სუპერლიგა. II ტური | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 19.00 | 049 | მიდტიულანდი-ოდენსე | 2,05 | 3,3 | 3,2 | 1,26 | 1,24 | 1,62 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 17.00 | 050 | რანდერსი-ჰერფიოლგე | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 17.00 | 051 | სილკებორგი-ორჰუსი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 17.00 | 052 | ოლბორგი-ნორდსიელანდი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 17.00 | 053 | ბრიონდბიუ-ვიბორგი | 1,5 | 3,8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2,26 |
| 19.35 | 054 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |
| | | დანია. I დივიზიონი. I ტური | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 17.00 | 057 | ჰელერუპი-ნიკიობინგი | 2,5 | 3,5 | 2,25 | 1,45 | 1,18 | 1,36 |
| 17.00 | 058 | სკიოლდი-ფრემადი | 1,75 | 3,6 | 3,5 | 1,17 | 1,16 | 1,77 |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 15.00 | 060 | ფრემი-დალუმი | 1,35 | 4,6 | 5,0 | 1,04 | 1,06 | 2,39 |
| 15.00 | 061 | იოლსტიკე-ჰორსენსი | 2,4 | 3,6 | 2,3 | 1,44 | 1,17 | 1,4 |
| 17.00 | 062 | კიოგე-ბ 93 | 1,3 | 4,6 | 7,0 | 1,01 | 1,09 | 2,77 |
| 17.00 | 063 | ნესტვედი-ვეილე | 2,6 | 3,6 | 2,15 | 1,5 | 1,17 | 1,34 |
| 17.00 | 064 | სიონდერიისკე-აკადემისკი | 1,95 | 3,6 | 3,0 | 1,26 | 1,18 | 1,63 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა. XIV ტური | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 18.00 | 069 | კალმარი-იურგორდენი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 19.00 | 070 | იორებრო-იორგრიტე | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 19.00 | 071 | აიკ-მალმიო | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 21.00 | 072 | ლანდსკრონა-ჰალმსტადი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 21.00 | 073 | ელფსბორგი-სუნდსვალი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,25 | 1,25 | 1,7 |
| 21.00 | 074 | ტრელებორგი-ჰამარბი | 3,8 | 3,3 | 1,8 | 1,76 | 1,22 | 1,16 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა. XVI ტური | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 20.00 | 096 | ლინი-ოდ გრენლანდი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| 20.00 | 097 | ლილესტრიომი-ტრომსიო | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 20.00 | 098 | ბოდიო გლიმტი-სოგნდალი | 1,9 | 3,4 | 3,4 | 1,21 | 1,21 | 1,7 |
| 20.00 | 099 | სტაბეკი-ჰამარი | 2,15 | 3,3 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,57 |
| 20.00 | 100 | ფრედრიკსტადი-მოლდე | 2,7 | 3,3 | 2,3 | 1,48 | 1,24 | 1,35 |
| 22.05 | 101 | ვიკინგი-რუსენბორგი | 4,0 | 3,4 | 1,75 | 1,83 | 1,21 | 1,15 |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 21.00 | 102 | ბრანი-ვოლერენგა | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| | | ირლანდია. პრემიერლიგა. XXI ტური | | | | | | |
| | | 30 ივლისი | | | | | | |
| 22.45 | 118 | კორკი-უოტერფორდი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 22.45 | 120 | დროგედა-დერი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

### სლოვაკეთი. I ლიგა. II ტური

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 136 | რუჟომბეროკი-დუბნიცა | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 22.00 | 137 | ჟილინა-პეტრჟალკა | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 22.00 | 138 | ტრენჩინი-სობოტა | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |

**1 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 139 | ტრნავა-პუხოვი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 20.00 | 140 | ინტერი-ბ.ბისტრიცა | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,41 | 1,24 | 1,35 |

### ხორვატია. 1.HNL. II ტური

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 143 | ოსიეკი-ზადარი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 20.00 | 144 | პულა-დინამო | 5,6 | 3,8 | 1,45 | 2,26 | 1,15 | 1,04 |
| 20.00 | 146 | ინტერი-მედიმურიე | 1,5 | 3,6 | 5,3 | 1,05 | 1,16 | 2,14 |
| 22.00 | 147 | რიეკა-კამენი | 1,8 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,19 | 1,69 |
| 22.45 | 148 | ჰაიდუკი-ზაგრები | 1,25 | 4,6 | 8,0 | 1 | 1,08 | 2,92 |

**1 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 145 | ვარტეკსი-სლავენი | 1,8 | 3,3 | 3,5 | 1,16 | 1,18 | 1,69 |

### სლოვენია. სი მობილ ლიგა. I ტური

**30 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 151 | პუბლიკუმი-დრავა | 1,55 | 3,6 | 4,6 | 1,08 | 1,15 | 2,01 |

**31 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 152 | კოპერი-გორიცა | 2,25 | 3,0 | 2,8 | 1,28 | 1,24 | 1,44 |

**1 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 153 | დომჟალე-ოლიმპია | 2,7 | 3,2 | 2,2 | 1,46 | 1,21 | 1,3 |
| 19.30 | 154 | პრიმორიე-ბელა კრაინა | 1,4 | 4,0 | 5,6 | 1,03 | 1,12 | 2,33 |
| 19.30 | 155 | ლიუბლიანა-ზაგორიე | 1,7 | 3,4 | 3,8 | 1,13 | 1,17 | 1,79 |
| 22.00 | 156 | მარიბორი-მურა | 1,7 | 3,4 | 3,8 | 1,13 | 1,17 | 1,79 |

### პოლონეთი. I ლიგა. I ტური

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 159 | ზაგლებე-კრაკოვია | 2,0 | 3,1 | 3,2 | 1,21 | 1,23 | 1,57 |

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 160 | კატოვიცე-ლეხი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 20.00 | 161 | ოდრა-ამიკა | 2,3 | 3,1 | 2,7 | 1,32 | 1,24 | 1,44 |
| 20.00 | 162 | პლოცკი-გურნიკი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 22.00 | 163 | ვისლა-ლეჩნა | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |

**1 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 164 | პოგონი-ლეგია | 3,8 | 3,3 | 1,75 | 1,76 | 1,19 | 1,14 |

ერთვნული ბიბლიოთეკა

### შოტლანდია. ლიგის თასი. I ეტაპი

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 212 | ერდრი-ქუინი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |
| 18.00 | 213 | ალოა-ელგინი | 1,35 | 4,2 | 7,0 | 1,02 | 1,13 | 2,62 |
| 18.00 | 214 | არბროთი-პიტერჰედი | 2,15 | 3,4 | 2,8 | 1,31 | 1,21 | 1,53 |
| 18.00 | 215 | ეარი-ფოლკირკი | 3,2 | 3,5 | 1,9 | 1,67 | 1,19 | 1,23 |
| 18.00 | 216 | დამბარტონი-სტირლინგი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 18.00 | 217 | ისტ ფაიფი-კოუდენბითი | 1,9 | 3,5 | 3,2 | 1,23 | 1,19 | 1,67 |
| 18.00 | 218 | ისტ სტირლინგი-ბერიკი | 7,0 | 5,0 | 1,25 | 2,91 | 1,06 | 1 |
| 18.00 | 219 | ფორფარი-მორტონი | 2,8 | 3,5 | 2,1 | 1,55 | 1,19 | 1,31 |
| 18.00 | 220 | გრეტნა-მონტროუზი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| 18.00 | 221 | პარტიკი-ბრეჩინი | 1,5 | 3,8 | 5,0 | 1,07 | 1,15 | 2,15 |
| 18.00 | 222 | ქუინს პარკი-სტენჰაუსმური | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 18.00 | 223 | რეითი-ალბიონი | 1,3 | 4,8 | 7,5 | 1,02 | 1,1 | 2,92 |
| 18.00 | 224 | როსი.სტ.მირენი | 2,0 | 3,4 | 3,1 | 1,25 | 1,21 | 1,62 |
| 18.00 | 225 | სტ.ჯონსტონი-ჰამილტონი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |

### საფრანგეთი. სუპერ თასი

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 231 | ლიონი-პსჟ | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |

### ამხანაგური მატჩები

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 285 | რივერ პლეიტი-არსენალი | 3,5 | 3,1 | 1,9 | 1,64 | 1,23 | 1,17 |
| 21.30 | 286 | ლანსი-სელტა | 1,9 | 3,1 | 3,5 | 1,17 | 1,23 | 1,64 |
| 23.15 | 287 | აიაქსი-პანათინაიკოსი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 01.00 | 288 | პორტუ-ლივერპული | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,41 | 1,24 | 1,35 |

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 289 | სპორტინგი-ფეიენოორდი | 2,45 | 3,1 | 2,45 | 1,36 | 1,22 | 1,36 |
| 18.00 | 290 | ნიუკასლი-რეინჯერსი | 1,85 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,22 | 1,66 |

CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ვრონულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი

TELCREDITI

10 42 00 24

+%

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანური ტრანსფერები 2004-2005

## ვალენსია

**მოვიდნენ**
ფიორე (ლაციო, იტალია)
კორადი (ლაციო, იტალია)
კარეუ (რომა, იტალია)
ბუტელე (მეცი, საფრანგეთი)
პარი (ალბასეტე)
სალვა (მალაგა)
დე ლოს სანტოსი (ატლეტიკო)
ალბიოლი (უელვა)
კანეირა (ბორდო, საფრანგეთი)
დი ვაიო (იუვენტუსი, იტალია)
მორეტი (პარმა, იტალია)

**წავიდნენ**
რ. ოლივეირა (ბეტისი)
კარეუ (ბეშიქთაში, თურქეთი)
ენგიქსი (პოლი ეხიდო)
დავიდ რანგელი (ლეიდა)
ხუან სანჩესი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ბარსელონა

**მოვიდნენ**
ბელეტი (ვილიარეალი)
ჟიული (მონაკო, საფრანგეთი)
ლარსონი (სელტიკი, შოტლანდია)
დეკო (პორტუ, პორტუგალია)
სილვინიო (სელტა)
ედმილსონი (ლიონი, საფრანგეთი)
დავიდ სანჩესი (ალბასეტე)
ფერნანდო ნავარო (ალბასეტე)

**წავიდნენ**
კლუივერტი (ნიუკასლი, ინგლისი)
სერხიო გარსია (ლევანტე)
როსი (ნუმანსია)
პიკე (მანჩესტერ იუნ, ინგლისი)
კოკუ (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
რაიციგერი (მიდლსბრო, ინგლისი)
კვარესმა (პორტუ, პორტუგალია)
მარიო (მალიორკა)
ენკე (ჰანოვერი, გერმანია)
ლუის ენრიკე (თამაში მიატოვა)
ოვერმარსი (თამაში მიატოვა)

## დეპორტივო

**მოვიდნენ**
რუბენი (ლას პალმასი)
მომო (ლას პალმასი)
ხაიმე (ჰანოვერი, გერმანია)
ხესუსი (სარაგოსა)
ხოსე მანუელი (ელჩე)
ტორო აკუნია (ელჩე)
დანი მალო (ელჩე)
ჩანგუი (ლას პალმასი)
აბრეუ (ტეკოსი, მექსიკა)

**წავიდნენ**
ივან პერესი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფერნანდო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯალმინია (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გ. ჯოროვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სონგო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ამავისკა (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## რეალი

**მოვიდნენ**
სამუელი (რომა, იტალია)
მორიენტესი (მონაკო, საფრანგეთი)
სელადესი (ბორდო, საფრანგეთი)
რუბენი (მიონხენგლადბახი, გერმანია)

**წავიდნენ**
კამბიასო (ინტერი, იტალია)
ფლავიო კონსეისაო (გალათასარაი, თურქეთი)
პორტილიო (ფიორენტინა, იტალია)
აგანსო (რასინგი)
კარლოს სანჩესი (პოლი ეხიდო)
კორალესი (ოსასუნა)
ოლალა (ლეიდა)

## ბილბაო

**მოვიდნენ**
ანგულო (ბილბაო B)
კასასი (ბილბაო B)
ასკორა (ბილბაო B)
სოლაბარიეტა (ბილბაო B)

**წავიდნენ**
ლარასაბალი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## სევილია

**მოვიდნენ**
რენატო (სანტოსი, ბრაზილია)
ფერნანდო სალესი (ვალიადოლიდი)
მაკუკულა (ნანტი, საფრანგეთი)
დანი (უელვა)
ტოედტლი (უელვა)

**წავიდნენ**
ფ. გალიარდო (ხეტაფე)
მარკოს ვალესი (მალიორკა)
ხერმან ორნოსი (ვალიადოლიდი)
მარანიონი (მურსია)
ფრედი (კადისი)
ვიქტორ სალასი (პოლი ეხიდო)



ფრანგ დავიდ ბუტელეს სასაცილო აქვს, „ვალენსიაში“ ითამაშებს

## ატლეტიკო

**მოვიდნენ**
პაბლო (ალბასეტე)
ლეო ფრანკო (მალიორკა)
კოლსა (მალიორკა)
პერეა (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
ანტონიო ლოპესი (ოსასუნა)
ლუქსენი (სელტა)
კორეა (მალიორკა)
ზაინოსი (პოლი ეხიდო)

**წავიდნენ**
პინოლა (რასინგი)
ბურგოსი (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
როდრიგო (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
სერხიო სანჩესი (ხეტაფე)
ხუანმა (ნუმანსია)
ორტისი (ოსასუნა)
დე ლოს სანტოსი (ვალენსია)
ლეკი (ხეტაფე)
ამაია (ხეტაფე)
ნიკოლაიდისი (ხეტაფე)
ლედო (ვალიადოლიდი)
აგილერა (?)

## ვილიარეალი

**მოვიდნენ**
ხისკო (ნუმანსია)
ნადალი (ნუმანსია)
არმანდო სა (ბენფიკა, პორტუგალია)
გ. როდრიგესი (სან ლორენსო, არგენტინა)
ექტორ ფონტი (სიუდად მურსია)

**წავიდნენ**
არანდა (ალბასეტე)
ბელეტი (ბარსელონა)
კოლოჩინი (?)
ტენა (ფეროლი)
პედრო მარტი (ელჩე)

## ბეტისი

**მოვიდნენ**
კასასი (ხერესი)
დობლასი (ხერესი)
რ. ოლივეირა (ვალენსია)
პ. ნინიო (პოლი ეხიდო)
პ. კასტელინი (ტორინო, იტალია)

**წავიდნენ**
მინგო (ალბასეტე)
კალადუ (პოლი ეხიდო)
ჟოაუ ტომასი (ბრაგა, პორტუგალია)
იტო (ესპანიოლი)
პალერმო (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
გუდიონსონი (პოლი ეხიდო)

## მალაგა

**მოვიდნენ**
არავინ

**წავიდნენ**
როხასი (?)
სალვა (ვალენსია)
კანაბალი (პონტევედრა)
დიეგო ალონსო (პონტევედრა)
ინსუა (პონტევედრა)
ხოსემი (ლივერპული, ინგლისი)

## მალიორკა

**მოვიდნენ**
არანგო (პუებლა, მექსიკა)
პ. მიულერი (ლიონი, საფრანგეთი)
მარიო (ბარსელონა)
სიფუენტესი (სიუდად მურსია)
მარკოს ვალესი (სევილია)
კომე (ნუმანსია)

**წავიდნენ**
ტონი გონსალესი (სიუდად მურსია)
ტუნი (სალამანკა)
ლეო ფრანკო (ატლეტიკო)
კოლსა (ატლეტიკო)
კორეა (ატლეტიკო)
ი. სტანკოვიჩი (პარტიზანი, სერბეთი)
მიკი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვისენტე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ლუსენჰოფი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ედუ მოია (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნენე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფინიდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## სარაგოსა

**მოვიდნენ**
ლუის გარსია (ნუმანსია)
ოსკარი (ვალიადოლიდი)
არანსაბალი (სოსიედადი)
დრულიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ხუანხო კამაჩო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**წავიდნენ**
ველისკა (ალმერია)
იბან ესპადასი (ალმერია)
ბილიჩი (კორდობა)
ვალბუენა (ალბასეტე)
იორდი (ხეტაფე)
ხესუსი (დეპორტივო)
რებოსიო (ტერასა)
პაბლო (ტერასა)
ხუანელე (ტერასა)
ფერონი (ალბასეტე)
დანი (ესპანიოლი)
ვივარ დორადო (ლეიდა)
კორონა (ვალიადოლიდი)
ინიაკი (ვალიადოლიდი)

## ოსასუნა

**მოვიდნენ**
მილოშევიჩი (პარმა)
დელპორტე (ალბასეტე)
ორტისი (ატლეტიკო)
კლავერო (მურსია)
ხოსუე (მურსია)
კორალესი (რეალი)

**წავიდნენ**
ბრიტი (სალამანკა)
პალასიოსი (ნუმანსია)
დიეგო მატეო (ვალიადოლიდი)
ანტონიო ლოპესი (ატლეტიკო)
გორკა გარსია (კორდობა)
რივერო (ხერესი)

## ალბასეტე

**მოვიდნენ**
მინგო (ბეტისი)
ვალბუენა (სარაგოსა)
გასპერჩიჩი (ალავესი)
მარკ გონსალესი (უნ. კათოლიკა, ჩილე)
ფრანსისკო (ალმერია)
ფერონი (სარაგოსა)
ლუისმი (ესპანიოლი)

**წავიდნენ**
პედრო ერნანდესი (სიუდად მურსია)
პაბლო (ატლეტიკო)
დელპორტე (ოსასუნა)
პარი (ვალენსია)
დავიდ სანჩესი (ბარსელონა)
ფერნანდო ნავარო (ბარსელონა)
არანდა (სევილია)
ალმუნია (არსენალი, ინგლისი)
ბასტი (ხერესი)
პედრო (?)
სიმეონი (?)
როა (?)
უნაი (?)
მოსო (?)
ფაბიანო (?)

## რასინგი

**მოვიდნენ**
სიეტესი (ალავესი)
მარკეში (რაიო ვალეკანო)
ბორგესი (მირამარი, მექსიკა)
რეგრაგი (აიაჩო, საფრანგეთი)
ბახარი (ალავესი)
აგანსო (რეალი)
ნანი ლიმა (მონტევიდეო, ურუგვაი)

**წავიდნენ**
ბოდიპო (ალავესი)
კორომინა (ალავესი)
ეპიტიე (ალავესი)

## სოსიედადი

**მოვიდნენ**
ბრეშე (ინტერი, იტალია)
ბარკერო (პოლი ეხიდო)
ლაბაკა (სიუდად მურსია)
მიკელ ალონსო (ნუმანსია)
გარი ურანგა (ხეტაფე)
არტეტა (რეინჯერსი, შოტლანდია)

**წავიდნენ**
პაკო ლორენტე (ეიბარი)
დე პედრო (ბლექბერნი, ინგლისი)
არანსაბალი (სარაგოსა)
პოტილიონი (პსჟ, საფრანგეთი)
კვარმე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გურუჩაგა (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ესპანიოლი

**მოვიდნენ**
დომი (პსჟ, საფრანგეთი)
იტო (ბეტისი)
დანი (სარაგოსა)
პოჩეტინიო (ბორდო, საფრანგეთი)
კამენი (ლე ავრი, საფრანგეთი)

**წავიდნენ**
ხორდი კრუიფი (?)
ტორიჩელი (?)
ვინიალი (ლივერპული, ინგლისი)
ბობსონი (?)
რადუჩანუ (არმინია, გერმანია)
ლუისმი (ალბასეტე)
ტონი ხიმენესი (?)

## ლევანტე

**მოვიდნენ**
დ. კამაჩო (უელვა)
ხუანმა (მალაგა B)
ჰარტი (ლიდსი, ინგლისი)
მიალბი (სელტიკი, შოტლანდია)
ნაჩო (მალაგა B)
კულებრასი (ნუმანსია)
სერხიო გარსია (ბარსელონა)

**წავიდნენ**
ლეკუმბერი (ალავესი)
ოლიასი (ალავესი)
კარპინტერო (ალავესი)

## ნუმანსია

**მოვიდნენ**
როსი (ბარსელონა)
ტევენეტი (?)
ხუანმა (ატლეტიკო)
ხუანპა (სალამანკა)
პაბლო სანსი (რაიო ვალეკანო)
პალასიოსი (ოსასუნა)
პინოლი (ალმერია)
ხუანლუ (ერკულესი)
ხოსე ხუანი (სელტა B)
ოჩოა (ალავესი)

**წავიდნენ**
ხუან მორენო (ალმერია)
კომე (მალიორკა)
პულიდო (მურსია)
ლუის გარსია (სარაგოსა)
როსუ (უელვა)
მიკელ ალონსო (სოსიედადი)
ტორილი (?)
ფაგიანი (?)
კასადო (?)
რიანიო (?)
ხისკო (ვილიარეალი)
ნადალი (ვილიარეალი)
კულებრასი (ლევანტე)

## ხეტაფე

**მოვიდნენ**
ფ. გალიარდო (სევილია)
იორდი (სარაგოსა)
პერნია (უელვა)
მარიო (?)
ბორხა (?)
სერხიო სანჩესი (?)
ამაია (ატლეტიკო)
სანჩეს ბროტო (მურსია)
ნიკოლაიდისი (ატლეტიკო)
ლეკი (ატლეტიკო)
მარტინ ვიტალი (ლეგანესი)

**წავიდნენ**
ბერნო (ელჩე)
პაჩონი (ვალიადოლიდი)
გარი ურანგა (სოსიედადი)
კალეხა (?)
ა. კასტრო (?)
ნაჩო (?)
რუბენ რეიესი (?)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყაჩაღობა აღარ იქნება

## რაგბის კავშირმა მწვრთნელები შემოიმტკიცა

*თვეების წინ რაგბის კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატ მერაბ ანთაძის საარჩევნო გეგმაში ქართული რაგბის განვითარების უმთავრეს საკითხებად საკლუბო რაგბის წინ წამოწევა და ტრანსფერების პრობლემის მოგვარება მიიჩნეოდა. მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთ გზად მწვრთნელთა საბჭოს შექმნის აუცილებლობაც სახელდებოდა*


ზურაბ დარჩიაშვილის ფოტო
ლევან ცაბაძემ და მერაბ ანთაძემ ქართულ ტრანსფერებზე ბევრი იბჭეს

მერაბ ანთაძე პრეზიდენტი გახდა და სარაგბო მმართველობაც შეიცვალა, თუმც მწვრთნელთა საბჭოს ოდენ პრესკონფერენციებზე თუ გაიხსენებდნენ ხოლმე და ორიოდ სიტყვით ისევ მის აუცილებლობაზე იტყოდნენ. გუშინ კი პრეზიდენტმა უმაღლესი ლიგის კლუბთა თავკაცებს კავშირში უხმო საბჭოს ფუნქციონირების საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად.

ანთაძის თქმით, პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს მექანიზმი, თუ როგორ იმოქმედებს ეს ორგანო და როგორ ითანამშრომლებს კავშირთან. პრობლემებიდან ამ დროისთვის ყველაზე აქტუალურად კი საქართველოს ჩემპიონატის ახალი დებულება და ტრანსფერები დასახელდა.

*მერაბ ანთაძე:* „ტრანსფერების თაობაზე პირადად ვესაუბრე ლევან ცაბაძეს და მისგან ბევრი საინტერესო იდეაც მოვისმინე. სატრანსფერო ბაზრის მოწესრიგება ქართული რაგბის წინსვლაში მთავარ როლს შეასრულებს, მაგრამ ეს აუცილებლად დროულად უნდა მოხერხდეს.“

მწვრთნელთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებასა და მისი უფლებების დადგენა-დაკანონებას ამაოდ ველოდით. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, საამისოდ კენჭისყრები და მსგავსი პროცედურები საჭირო არ ყოფილა. ასე რომ, ახალი ორგანო უკვე ფუნქციონირებს და პრობლემებზე სასაუბროდ შეკრებაც ნებისმიერ დროს შეუძლია. შემადგენლობაში კი უმაღლესი ლიგის ყველა გუნდის მწვრთნელები შედიან.

გუშინდელი სხდომა დაახლოებით სათნახევარს გაგრძელდა და სჯა-ბაასი ოდენ ტრანსფერებზე გაიმართა. მწვრთნელთა შორის მჯდომმა ცაბაძემ ძველ შეცდომებზე ღიად ისაუბრა და მწარე სინამდვილეც გამოამზეურა, თუმც აღმოჩნდა, რომ ეს იქ მყოფთაგან თითქმის ყველამ თავის დროზევე იცოდა:

*ლევან ცაბაძე:* „აქამდე არანაირი ტრანსფერი არ არსებობდა. რაც ბოლო წლებში ხდებოდა, სახელად ყაჩაღობა უფრო მოუხდება. უცხოეთში მიმავალ მორაგბეებს ზაზა ქასაშვილი და კლოდ სორელი აყაჩაღებდნენ. პირდაპირ იყო საუბარი მოჭრილ თანხაზე, რომელიც ისევ მოთამაშეებს აკლდებოდათ. მარტო დავით დადუნაშვილის მაგალითი რად ღირს. 20 წლის ბიჭი, რომელიც საქართველოს ნაკრებს ვინ იცის, როგორ გამოადგება, საფრანგეთში 320 ევროს საფასურად თამაშობს. ცხადია, არ ჰყოფნის და დილიდან საღამომდე ბეტონს ზილავს. არადა წესით, გაცილებით მაღალი ანაზღაურება უნდა ჰქონდეს. ასეთი უსამართლობა აღარ უნდა განმეორდეს. სატრანსფერო პრობლემა ბევრად უფრო მტკივნეულია, ვიდრე გარედან ჩანს.“

ცაბაძეს ლაპარაკი არ დაუმთავრებია. მისი ხმა პარალელურად კლუბებისა და მოთამაშეების კონტრაქტების თაობაზე ატეხილმა კამათმა გადაფარა, ცოტა ხანში კი სხდომა სამშაბათისთვის გადაიდო.

**ოთარ მაღლაკელიძე**




ზურაბ დარჩიაშვილის ფოტო
ირაკლი ჯაფარიძე (№12) და გიორგი მარკოიშვილი (№11) ნუგზარ ჭეიშვილის „სტუ-ჯეოსელში“ დარჩებიან, გულივერ ახალკაცი (№14) კი ბედის საძებნელად საზღვარგარეთ გაემართა

# მშვიდობით, ბურთო, მომეცით იარაღი!

## პეჯა სტოიაკოვიჩი ათენში მიდის, ოლიმპიადაზე არა

„მე ერთგულად ვემსახურე ჩემი ქვეყნის ეროვნულ გუნდს, ახლა კი დასვენება მინდა“ — თქვა „საკრამენტო კინგზის“ ლიდერმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა და სერბეთ-ჩერნოგორიის ნაკრებს საოლიმპიადოდ უგანა.

„ყოველ ზაფხულს რაღაც ხდება — აქეთ ევროპის ჩემპიონატიო, იქით მსოფლიოს პირველობაო, ახლა კიდევ ოლიმპიადაო. დავიღალე და დასვენება მინდა. სერბეთში ბევრი ძლიერი მოთამაშე მოიძებნება და ჩვენს ნაკრებსაც უჩემობით ბევრი არაფერი დააკლდება.“

სტოიაკოვიჩის ეს გადაწყვეტილება სერბეთში ბევრმა ტრაგედიად აღიქვა და გულშემატკივრები დღემდე ცდილობენ, ნაირგვარი ხერხებით პეჯას აზრი შეაცვლევინონ. სტოიაკოვიჩი კი კლდესავით ურყევია და ამბობს — „გადაწყვეტილება საბოლოოა, ნაკრების ხელმძღვანელობას ამაზე უკვე ველაპარაკე და ყველაფერი შეთანხმებულია. ათენში სათამაშოდ არ მივდივარ.“

მაგრამ სტოიაკოვიჩი მაინც ჩავა საბერძნეთში, ოღონდ სამხედრო ვალის მოსახდელად. დიახ, სტოიაკოვიჩი ბერძნულ არმიაში მიდის. მას ორმაგი მოქალაქეობა აქვს — სერბეთისა და საბერძნეთის. რადგან ვარსკვლავი ხარ, სამთვიან შეკრებას გაგიხერხებთო, უთქვამს ელინთა მთავარსარდალს და ოლიმპიადის დღეებში მისი ძმაბიჭები ბურთით რომ ირბენენ, პრედრაგი იარაღს გადაიკიდებს მხარზე.

სტოიაკოვიჩი საბერძნეთში მიღებული კაცია. ნბა-ში წასვლამდე კარგა ხანს თამაშობდა ამ ქვეყნის წამყვან გუნდებში. პეჯას სალონიკში ზღვისპირას სახლი აქვს და მისი გელფრენდიც იქაურია, რომელიც სამოთხ კვირაში სერბი ვარსკვლავისგან შვილს ელის. ასე რომ, სტოიაკოვიჩის არყოფნა გადაწყვეტილია.

და კიდევ: შესაძლოა, ათენში სერბებს არც ვლადე დივაცი გაჰყვეს.

**ირაკლი პერტაია**

# სტუ-ს რიჩარდი მსტუმრა

## ჭეიშვილი ტექნიკურად იქცევა

**მაშინ**, როცა არც ერთმა კლუბმა არ იცოდა, რა დაფინანსება ექნებოდა, თბილისის „დინამოს“ ყველაფერი განსაზღვრული ჰქონია და სატრანსფერო საქმიანობაც თავის გემოზე წარმართა გუნდის მწვრთნელმა დრაგენ ბრაიკოვიჩმა. დინამოელებმა თითქმის უკვე დააკომპლექტეს შემადგენლობა. ქართულ სატრანსფერო ბაზარზე ახლა მეორე კლუბი გამოჩნდა — „სტუ-ჯეოსელი“ უკონტრაქტო მოთამაშეებს შესია და როგორც ტექნიკოსთა თავკაცი ნუგზარ ჭეიშვილი ამბობს, უახლოეს დღეებში გუნდი შევსებული ეყოლება:

„ახლახან გაიმართა ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობის შეკრება და გადაწყდა, რომ ისეთივე დაფინანსება გვექნება, რაც ბოლო სეზონში. ანუ კვლავ შეგვიძლია, ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ძლიერი მოთამაშეები ვიყოლიოთ და ახლა სწორედ ამ კუთხით ვმუშაობთ. სამი-ოთხი კალათბურთელი შევიგულე, მათ ამ დღეებში შევეხმიანები და ალბათ „სტუ-ჯეოსელში“ თამაშზეც დავითანხმებ. ჯერჯერობით არ მინდა მათი ვინაობის გამხელა, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.“

მოგეხსენებათ, სადღეისოდ სტუ-სთან არც ერთ კალათბურთელს კონტრაქტი არ აკავშირებს, მაგრამ, ჭეიშვილი ამბობს, ძველი შემადგენლობიდან ექვსმა კალათბურთელმა უკვე გამოთქვა გუნდში დარჩენის სურვილიო. თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, მომავალ სეზონში კვლავ ტექნიკოსები იქნებიან ალეკო დავითულიანი, ირაკლი ჯაფარიძე, ლუკა შანიძე, გიორგი მარკოიშვილი, ზვიად მიქაძე და გიორგი გაგნიძე. გულივერ ახალკაცს კი სტუ-ს ვიდეოთეკიდან კასეტები წაუღია, საზღვარგარეთ მივდივარ სათამაშოდო. თუ უცხოეთში ფეხი ვერ მოიკიდა, ახალკაცი ალბათ ისევ „სტუ-ჯეოსელში“ ითამაშებს. ძველი შემადგენლობიდან მხოლოდ ალეკო ქისტაურმა დატოვა გუნდი.

ტექნიკოსებს ნამატიც ჰყავთ — კადეტთა ნაკრებში თავნასახელები რიჩარდ მათიაშვილი. ქართველი კადეტები ახლახან დაბრუნდნენ საბერძნეთიდან, სადაც თავი ვერაფრით გამოიჩინეს და რომ არა მათიაშვილი, გერმანელებთან იმ ერთ მატჩსაც ვერ მოიგებდნენ.

**ირაკლი პერტაია**



პრედრაგ სტოიაკოვიჩმა ნაკრებში შვებულება აიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მორესმო: ნაბიჯი უკან, საფეხური წინ?!



ალიშა მოლიკს ამხელა ამელი მორესმო შემოემარცხა

### მასტერსის სერია
ტორონტო. ჰარდი
საპრიზო 2,564 მილიონი $

**პირველი წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:3, 7:5; **ენდი როდიკი** (2, აშშ) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:4, 6:2; **ლუის ორნა** (პერუ) — გილერმო კორია (3, არგენტინა) 5:1 *კორიამ შეწყვიტა*; **კარლოს მოია** (4, ესპანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:7 (7:9), 6:3, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:4, 6:1; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — დავიდ ნალბანდიანი (6, არგენტინა) 3:6, 6:3, 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე) — რაინერ შუტლერი (8, გერმანია) 3:6, 6:4, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (9, ავსტრალია) — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 1:6, 6:4, 6:2; **ტოდ რიდი** (ავსტრალია) — გასტონ გაუდიო (11, არგენტინა) 7:6 (7:2), 5:7, 6:3; **გრეგორი კარა** (საფრანგეთი) — სებასტიან გროჟანი (12, საფრანგეთი) 6:2, 7:6 (7:3); **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — ნიკოლას მასუ (13, ჩილე) 6:4, 6:4; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — მარატ საფინი (15, რუსეთი) 6:7 (3:7), 6:4, 7:6 (7:2); **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 5:7, 7:6 (10:8), 6:0; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 4:6, 7:5, 7:6 (7:3)

ალბათ გეხსომებათ, წინა დღეს როჯერ ფედერერმა ჰიშამ არაზის პირველი სეტი მოუგო თუ არა, ნახევარი საათით შეწყვეტილმა წვიმამ ხელახლა მოასხა და მილეთს შინისაკენ აკრეფინა.

მრავალსაათიანი შხაპუნის შემდეგ სტიქია, როგორც იქნა, დაცხრა და მეორე დღეს კორტს მობრუნებულ ფედერერს ისევ მხოლოდ ერთი ისე-რა სეტის მოგება დასჭირდა, რათა ამჯერად უკვე საბოლოოდ გაევაკებინა.

ცხადია, უკეთეს მდგომარეობაში ვიყავი, რაკილა კორტზე გასვლა უკვე სეტიანი უპირატესობით მომიხდაო, იძახდა მერე ფედერერი და თავის დამაჯერებელ სამეორდღეო გარჯას ამ გარემოებითაც ასაბუთებდა.

ისე კი, ეს მისი და გამოცდილი მაროკოელის მეხუთე საკარიერო დაპირისპირება გახლდათ და როჯერმა უკვე მეოთხე გამარჯვება მიითვალა. ამ მომენტისთვის ის ოთხი მარცხის წილ უკვე 52 საამსეზონო გამარჯვებას მოიძევს და, როგორც სტატისტიკა გვამცნობს, ასეთი სტარტი 1989 წლიდან ანუ ივან ლენდლის შემდეგ ალარავის ჰქონია.

სეზონის 50-ე გამარჯვება, ოღონდ მე-9 მარცხის წილ მოიხვეჭა შარშანდელმა ჩემპიონმა ენდი როდიკმა. ეს იმავდროულად წლეულს მისი 35-ე სამაგარსაფრო გამარჯვებაა (5 მარცხის საპირისპიროდ) და ამ მაჩვენებლით მას ამქარში ბადალი არა ჰყავს. ენდიბოიმ უსახელო ფრანგ ჟულიენ ბენეტოს უპრობლემოდ აჯობა, თუმც კი მერე აღიარა, რომ აწი იოლ მატჩებს აღარ მოელის: „სეირნობას აქ ვერავინ ელირსება, რადგანაც ამ ტურნირზე თითქმის ყველა უძლიერესი მეჩოგნეა შეკრებილი."

სამწუხაროდ — ხუან კარლოს ფერეროს კვალად — ტრავმის გამო ოტება კიდევ ერთ-ერთ უძლიერესთაგანს, სახელდობრ კი, გილერმო კორიასაც მოუხდა. ფეხმარდ გაუჩოს, ვისაც როლანგაროსულ ფინალში გასტონ გაუდიოსთან მარცხის შემდეგ ბედი აღარ სწყალობს, ამ ჯერზე მარჯვენა მხარმა უმტყუნა. გასული უქმეებიდან გამოყოლილმა ტკივილმა თავი პერუელ ორნასთან პირველსავე სეტში იჩინა და კორიასაც დიდხანს არ უყოყმანია — გათრევას გაყოლა ამჯობინა.

იძლია თავად გასტონ გაუდიოც, რომელიც სანამ ტორონტოში გადაფრინდებოდა, ზედიზედ ოთხ ევროპულ სათიხნარო ტურნირზე ფინალამდე მივიდა და, აქვე ნახსენებ როლანგაროსობას თუ არ ჩავთვლით, ყველაში დამარცხდა. კონტინენტიდან კონტინენტზე და თანაც თიხნარიდან ბეტონზე გადასვლა გაუდიოსთვის ცოტა რთული გამოდგა და მანაც ჩოგანი ავსტრალიელი ტოლ რიდის წინაშე მოკაკვა.

თუკი გაუდიომ მოგებული სეტის შემდეგ ორი დათმო, პირუკუ, წაგებული სეტის მერე ორ-ორის უკუგება შეძლეს კარლოს მოიამა და ლეიტონ ჰიუიტმა. მოია თვისტომ ვერდასკოს გაუსწორდა და ცნობისთვის გეტყვით, ვერდასკო მოიას მიერ მე-14 საამსეზონო შეხვედრაში გაიმასქნებული მეთოთხმეტევე თვისტომი გახლავთ. ჰიუიტმა ნინველა ესპანელი რაფაელ ნადალი მოდრიკა, რომელმაც სულ ახლახანს მოიშუშა სამიოდე თვის წინ დალეწილი მარცხენა კოჭი.

ორ საათსა და 43 წუთს გასტანა მატჩმა, რომლის შედეგადაც წლეულს უკვე ოთხ ამერიკულ ფინალში დამარცხებულმა ნიკოლას კიფერმა ტურნირის 2000 წლის ჩემპიონი მარატ საფინი გააბუნძულა. ეს ჯერ-ჯერობით შეჯიბრის ყველაზე ხანგრძლივი მატჩი იყო.



REUTERS

გილერმო კორიას როლან გაროსის შემდეგ ჯანმრთელობა ღალატობს

### ACURA CLASSIC
სან დიეგო. ჰარდი
საპრიზო 1,3 მილიონი $

**მეორე წრე**

**ალიშა მოლიკი** (ავსტრალია) — ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) 7:5, 3:6, 6:3; **ლინდსი დევენპორტი** (4, აშშ) — კაროლინა სპრემი (ხორვატია) 6:4, 6:0; **სვეტლანა კუზნეცოვა** (7, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:2; **აი სუგიამა** (8, იაპონია) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:2, 6:2; **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი) — პაოლა სუარესი (9, არგენტინა) 6:3, 6:0; **ხისელა დულკო** (არგენტინა) — მარი პირსი (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:1); **ელენა ბოვინა** (რუსეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:1, 6:4; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — ბარბორა სტრიჩოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:3; **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:4

ამელი მორესმო კორტზე მას შემდეგ აღარ გამოჩენილა, რაც რომ უიმბლდონობაზე ნახევარფინალს უწია და იქ სერენა უილიამსისგან დაიჩოგნა. ჰოდა, ეგებ ამის გამოც იყო, მსოფლიო რეიტინგსიის 29-ე საფეხურზე მდგომ ალიშა მოლიკს იმ დღეს მხოლოდ პირველ სეტში რომ მოერია.

თუმცა მოლიკის მოგებას მხოლოდ მორესმოს უთამაშებლობითაც ვერ ავხსნით — თავად 23 წლის ოზგოგომ მთელი მატჩის განმავლობაში რიგიანად აწოლა, ბადესთანაც იაგრესიულა და წლეულს ავსტრალიის ღია პირველობაზე განცდილი მარცხისთვის დამსახურებულადაც ირევანშა.

აზრზე არა ვარ, რა უნდა გითხრათო, ამბობდა ნამატჩევს მორესმო, ალიშამ დღეს ისე ითამაშა, როგორც მოეხოშა და, წინააღმდეგ ჩემი მოლოდინისა, უნებლიე შეცდომებიც არ დაუშვიაო.

მაგრამ ამ მარცხის მიუხედავად მორესმოს მაინც შეეძლება, მომავალ კვირაში გამოსაცემ რეიტინგსიაში კიმ კლაისტერსი მეორე ადგილიდან ჩამოაქვეითოს. ბუთქუნა ბელგიელს მაჯის ტრავმის გამო აპრილის მერე აღარ უთამაშია, შესაბამისად, ქულაც ბევრი დააკლდა და უკანასკნელ ზორბა მარაგს სწორედ სანდიეგოში უთამაშებლობის გამოც მოისაკლისებს (როგორც შარშანდელი ფინალისტი). თუმცა საქმეში შეიძლება რეიტინგსიის მეოთხე და მეხუთე ადგილებზე მდგომი ანასტასია მისკინა და ლინდსი დევენპორტიც ჩაერთონ, რომელთაც — ტურნირზე წარმატებული გარჯის სანაცვლოდ — ვინძლო ჩამოქვეითებულ კლაისტერსსაც გადაუსწრონ და აღზევებულ მორესმოსაც.

ყოველ შემთხვევაში — ერთმაც და მეორემაც თავ-თავიანთი საპირველწრეო ამოცანები სრულიად უპრობლემოდ შეასრულეს. მისკინამ წინა დღეს იმარჯვა, ლინდსიმ კი გუშინ ნინველა ხორვატ კაროლინა სპრემს ჩაურბინა და მშობლიურ შტატ კალიფორნიაში ზედიზედ მეათე გამარჯვება მიითვალა. (შეგახსენებთ, რომ წინა ორ კვირაში მან სტენფორდულ და ლოსანჯელესურ ტურნირებზე იმარჯვა).

ცოტა მართლაც გადავიღალეო, ამბობდა მერე ლინდსი და — ამიტომ ეს ტურნირი ჩემთვის ნაღდი გამოცდა იქნებაო — მერე ასე დასძინდა. მესამე წრეში მას უიმბლდონის ჩემპიონყოფილი კონჩიტა მარტინესი გამოსცდის.

**ლევან ქელაურაძე**



# გერი ბეტმენის გვწამს, მაგრამ მისი საქმენი ვერ გვაკვირვებს



**ნჰლ-ის კომისიონერ** გერი ბეტმენს რკინის ნერვები ჰქონია. უმძიმეს სიტუაციაში აღმოჩენილი, იხტიბარს მაინც არ იტეხს და ყველა გამოსვლაში ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებს. ის ამბობს, რომ ლიგისა და მოთამაშეთა ასოციაციის (ნჰლპა) მოლაპარაკებაში პროგრესი შეიმჩნევა და იმედიანად უყურებს მომავალს. ამასობაში კი საქმე დღითიდღე უარესდება.

გასულ კვირაში ჩატარებულმა შეხვედრამ მხარეები უფრო დააშორა ერთმანეთს. ბეტმენი და მისი მოხელეები კარგად მომზადებულნი შეხვდნენ მოლაპარაკების მორიგ რაუნდს. მათ ახალი ურთიერთობის 6 ვარიანტი კი წარადგინეს, მაგრამ არც ერთმა არ დააკმაყოფილა მოთამაშეთა ასოციაციის წარმომადგენლები. ეს არც არის გასაკვირი, რადგან უკლებლივ ყველა ვარიანტი ხელფასებზე ზღვრის შემოღებას ითვალისწინებს.

„ასეთი კონცეფციის განხილვით ვერანაირ პროგრესს ვერ მივაღწევთ" — გულახდილად განაცხადა ასოციაციის თავმჯდომარემ ტედ სასკინმა. თავის მხრივ ნჰლპა დიდ დათმობაზე წავიდა, როცა დათანხმდა მოთამაშეთა ხელფასების 5 პროცენტით შემცირებაზე, მდიდარი გუნდებისთვის გადასახადის შემოღებაზე და სხვა, მაგრამ ლიგა ჯიუტად იცავს თავის პოზიციას.

თავად ბეტმენს ყველა შემთხვევაში ცუდად წაუვა საქმე. თუ ის მოთამაშეთა მოთხოვნებს მიიღებს, კლუბების მფლობელები დაითხოვენ, ხოლო ლოკაუტის დაწყებისა და მისი გახანგრძლივების შემთხვევაში პოსტს მაინც ვერ შეინარჩუნებს. მოკლედ, ბეტმენი ორ ცეცხლს შუა მოექცა და როგორ დააღწევს თავს ამ სიტუაციას, არავინ იცის.

**სამველ ლარიბიანი**

# ქართული სახლი ათენში

**ოლიმპიური თამაშები**, მოგეხსენებათ, პირადი შეჯიბრებაა და კომპლექსურ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული მხოლოდ არაოფიციალურად ვლინდება. თუმცა, ამგვარ ჩათვლას ქვეყნები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ ერთმანეთის „ოქრო-ვერცხლს“ თუ თითოეულ ქულას სულ მისხალ-მისხალ ითვლიან. ეს გასაგებიცაა, რადგან ოლიმპიური თამაშები მხოლოდ მეტრები, წამები და კილოგრამები კი არა, არამედ დიდი პოლიტიკაცაა, იმდენად დიდი, რომ იქნება პირიქითაც გვეთქვა — ოლიმპიური თამაშები ჯერ პოლიტიკაა და მერე მეტრები, წამები თუ კილოგრამები.

ამიტომაც სახელმწიფოები ოლიმპიურ თამაშებზე სპორტული გამარჯვებების გარდა საკუთარი ისტორიისა და კულტურული მიღწევების წარმოჩენისთვისაც ილტვიან, რისთვისაც სხვადასხვაგვარ გამოფენებში თუ წარმოდგენებშიც მონაწილეობენ.

ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი კარგი საშუალებაა ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში თამაშების დღეებისას საკუთარი „სახლის“ გახსნა, სადაც დამთვალიერებელი ზოგადად ეცნობა „სახლის პატრონის“ ანუ ქვეყნის ისტორიას, ხელოვნებას, კულტურას, სპორტულ მიღწევებს...

1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე სხვათა სახლებთან ერთად პირველად გამოჩნდა „ქართული სახლიც“, რომელიც, თუ სიტყვაზე გვენდობით, დიდი ინტერესით დაათვალიერეს მისმა სტუმრებმა, რაც ჩვენი „ჯორჯიის“ სარეკლამოდ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა ოკეანისგაღმა ჯორჯიაში.

სიდნეიში, სამწუხაროდ, ქართული სახლის „აშენება“, უწინარეს ყოვლისა, უსახსრობის გამო არ მოხერხდა, ათენში კი ასეთი სახლი კვლავ გვექნება. ეს შესაძლებელი გახდა ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, საბერძნეთში საქართველოს საელჩოს, ჩვენი იქაური თანამემამულის, ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიაშვილის ძალისხმევითა და, რაღა თქმა უნდა, საქართველოს „ოლიმპიური ფონდისა“ და მისი პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის დახმარებით.

ათენში „ქართული სახლი“ ქალაქის ცენტრშია და მას, ისე როგორც ატლანტაში, დიასახლისობას გაუწევს ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ნანა ალექსანდრია.

**ავთანდილ ბჟვიშელი**



# ოლიმპიადა თაროზე

**ათენის** ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ერთი თვით ადრე საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კოსტას კარამანისმა ათენში საზეიმოდ გახსნა მუზეუმი, რომელიც ოლიმპიზმის ისტორიას ეძღვნება. ათენში თავიანთი ექსპონატები გამოგზავნეს მთელი მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმებმა, რომლებიც ანტიკური თამაშების ისტორიაზე მოგვითხრობენ. ესენია, მაგალითად ეტლებისა და მოჭიდავეების გამოსახულებები, ნახატები, რომლებზეც ასახულია ბადროს მტყორცნელთა, მოკრივეთა და მობურთალთა გამოსახულებები. ამას გარდა, მუზეუმის დამთვალიერებლებს შეეძლებათ ნახონ „სპორტინვენტარი“, რომლებიც 28 საუკუნეს ითვლიან. მთლიანობაში მუზეუმში წარმდგენილია 34, მათ შორის 16 ბერძნული მუზეუმის 237 ექსპონატი, რომელთა დათვალიერებაც ოლიმპიური თამაშების მონაწილეებსა და მის სტუმრებს 13-დან 29 აგვისტომდე შეეძლებათ.

იმ მუზეუმთა შორის, რომლებმაც ათენში საექსპოზიციო ნიმუშები წარმოადგინეს, არის ნიუ იორკის მეტროპოლიტენმუზეუმი, ბრიტანეთის მუზეუმი, სანკტ პეტერბურგის ერმიტაჟი...

# კუჩმა გაბრაზდა

**უკრაინის** პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ სტიპენდიები მოუხსნა თავისი ქვეყნის ძიუდოისტ ევგენი სოტნიკოვს და მის ორ მწვრთნელ ალექსანდრ ვორონინსა და სერგეი ორდენოვს.

სოტნიკოვი არის შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი და იგი უკრაინის პრეზიდენტის სტიპენდიას თვეში 4 ათასი გრივენის ოდენობით (754 დოლარი) ღებულობდა, ხოლო მისი მწვრთნელები 2-2 ათას გრივენს (377 დოლარი). მაგრამ თუ რატომ გაუუქმეს მათ ეს სტიპენდიები, ამის შესახებ არაფერს იუწყებიან.





ეროვნული ბიბლიოთეკა



მარკ ვებერი



ჯანკარლო ფიზიკელა

# იაგუარს კაცი გამქცა
## ფრანგების იტალიური როქი

FORMULA1 WORLD CHAMPIONSHIP

**როგორც ცნობილია**, წლევანდელი ჩემპიონატის შემდეგ ფორმულა 1-ის ერთ-ერთ წამყვან გუნდს, „უილიამსს“, ორივე მრბოლი დატოვებს: ხუან-პაბლო მონტოია „მაკლარენში“ გადადის, რალფ შუმახერი — „ტოიოტაში“.

გაცხადდა ერთი ვაკანტური ადგილის მფლობელის ვინაობა — სერ ფრენკ უილიამსმა თავის საჯინიბოში მარკ ვებერი მიიწვია საგაისოდ. 27 წლის ავსტრალიელი მეორე სეზონია, „იაგუარით“ დაქრის. შარშანდელ ჩემპიონატში 17 ქულით მეათე ადგილზე გავიდა, ამჟამად კი 12 ეტაპზე შვიდი ქულის მოგროვება შეძლო. ვებერმა გასულ კვირას გერმანიის დიდი პრიზის გათამაშებაში მეექვსე ადგილი დაიკავა.

გაირკვა „რენოში“ იარნო ტრულის შემცვლელის ვინაობაც. „ტოიოტაში“ მიმავალ 30 წლის იტალიელის ნაცვლად ფრანგული ბოლიდის საჭეს მისი ერთი წლით უფროსი თანამემამულე ჯანკარლო ფიზიკელა მიუჯდება. „ფიზიკოს“ კონტრაქტი ორსეზონიანია.

სხვათა შორის, ჯანკარლოს „უილიამსში“ გადასვლის კანდიდატად ასახელებდნენ, მაგრამ ამბობდნენ, ეს ვარიანტი „რენოს“ ბოსმა და ვებერის მენეჯერმა ფლავიო ბრიატორემ ჩაშალაო.

ფიზიკელა საფორმულო ტრასებზე მეცხრე წელია დაჯირითობს, თუმცა არცთუ წარმატებით — 135 რბოლიდან მხოლოდ ერთის მოგება მოახერხა. წლევანდელი „ზაუბერი“ მისთვის მეხუთე სამუშაო ადგილია. რომაელი პილოტი სადღეისოდ 13 ქულით მეათე ადგილზეა.

## ფეხბურთი

### შვედეთი

თასის 1/4 ფინალი

გიოტებორგი 3:2 იორებრო

სუპერეტა. XVI ტური

გაის 0:1 ასირისკა

გეფლე 1:0 ბოდენსი

ნორჩიოპინგი 2:0 ბრაგე

ვასტერასი 3:0 ატვიდაბერგი

ფალკენბერგი 1:3 ჰეკენი

### გერმანია

ლიგის თასი. 1/2 ფინალი

ვერდერი 2:0 შტუტგარტი

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XVII ტური

ტამპერე 6:0 ჯაზი

ინტერი 2:1 ტპ-47

მიუპა 2:1 იარო

### ირლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

დუბლინი 1:2 სენტ პატრიკსი

### ამხანაგური მატჩი

გროცლინი 1:0 ოლიმპიაკოსი

## უეფას თასი 2004-2005

UEFA CUP

### I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ყარაბახი (აზერბაიჯანი) 0:1 *ბანსკა ბისტრიცა (სლოვაკეთი)* (0:3)
შახტიორი (ბელარუსი) 1:2 *ნისტრუ (მოლდოვა)* (1:1)
*ვენტსპილსი (ლატვია)* 8:0 B-68 ტოფტირი (ფარერები) (3:0)
ტვმკ (ესტონეთი) 1:2 *აკრანესი (ისლანდია)* (2:4)
ბანანცი (სომხეთი) 0:2 *ილიჩევეცი (უკრაინა)* (0:2)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 1:2 *ეკრანასი (ლიტვა)* (0:1)
*ჟალგირისი (ლიტვა)* 2:0 პორტადაუნი (ჩრდ. ირლანდია) (2:2)
*ჟელეზნიჩარი (ბოსნია)* 4:0 პენაროსა (სან მარინო) (5:1)
ალიანსი (ფინეთი) 1:2 *გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)* (2:2)
*მოდრიცა (ბოსნია)* 3:0 სანტა კოლომა (ანდორა) (1:0)
ეტცელა (ლუქსემბურგი) 1:3 *ჰაკა (ფინეთი)* (1:2)
*მეტალურგსი (ლატვია)* 8:1 B-36 ტორსჰავნი (ფარერები) (3:1)
დინამო (ალბანეთი) 1:4 *ოცელული (რუმინეთი)* (0:4)
*პრიმორიე (სლოვენია)* 2:0 მარშასლოკი (მალტა) (1:0)
*ტირასპოლი (მოლდოვა)* 2:0 შირაქი (სომხეთი) (2:1)
*მარიბორი (სლოვენია)* 1:1 სილეკსი (მაკედონია) (1:0)
სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) 1:4 *ომონია (კვიპროსი)* (0:4)
*ჰონვედი (უნგრეთი)* 1:1 მიკა (სომხეთი) (1:0)
ბირკირკარა (მალტა) 2:1 *პარტიზანი (ალბანეთი)* (2:4)
ლონგფორდი (ირლანდია) 2:3 *ვადუცი (ლიხტენშტაინი)* (0:1)
ლანსანტფრეიდი (უელსი) 1:2 *იოსტერსი (შვედეთი)* (0:2)
*ჰაფნარფიორდური (ისლანდია)* 3:1 ჰევერფორდვესტი (უელსი) (1:0)
ბოჰემიანსი (ირლანდია) 1:3 *ლევადია (ესტონეთი)* (0:0)



# უჟმური გენიოსი ჩავარდა

უჟმური გენიოსი ბობი ფიშერი, ვინ მოთვლის, მერამდენედ გაეხვა შარში. მსოფლიოს ექსჩემპიონი მოჭადრაკე ტოკიოს აეროპორტში დაუკავებიათ, როცა ის უვარგისი პასპორტით ფილიპინებზე გაფრენას აპირებდა. ეს ფოტო კი ისტორიულია, სპასკისთან თამაშის დროინდელი. ფიშერი ამჟამად 61 წლისა გახლავთ



REUTERS



REUTERS

# ქალი და ზვიგენი

ეს საწყალი ჰავაელი მოცურავე ბეთანი ჰამილტონი მუხთალმა ბედმა შარშან კუნძულ კაუაის ნაპირებთან 4-მეტრიან ვეფხვისებრ ზვიგენს გადაჰყარა და მარცხენა ხელის გარეშე დატოვა. ახლა ბეთანი ლოს ანჯელესშია ფილმ „ლია წყლის“ პრემიერაზე, რომელშიც თავადაც თამაშობს.

# დრიმ თიმ რომელიღაცა

ათენის ოლიმპიადისთვის დარაზმული „დრიმ თიმ რომელიღაცა“ ჩრდილო ფლორიდაში ჯექსონვილის უნივერსიტეტის დარბაზში შეკეტილა და ამ ცხელ ზაფხულში ოფლიანობს. ის დრო ხომ წავიდა, როცა ამერიკას ოლიმპიური ოქრო უშრომელად ეძლეოდა. მზექაბუკი ლებრონ ჯეიმსი გახურებულ კოჭებს ყინულწყალში იგრილებს, ქვემო ფოტოზე კი დრიმთიმკაპიტანი ტიმ დანკანი ჩამომჯდარა. წინა დღეს მას ფალარათის გამო გაუცდა ვარჯიში და გაცდენილს აღდგენა სჭირდება.



REUTERS

# მამიკოს გოგო

ლეილა ალი ისეთივე დაუცხრომელია, როგორიც ჯეელობაში მამამისი მუჰამედი იყო. მუშტებსაც იქნევს და მორიგი საკრივო შეხლის წინ ტრაბახ და მუქარანარევი კამპანიაც გაუჩაღებია. დღეს ლუისვილში მონიკა ნუნიესს 10-რაუნდა ჯახში ხვდება და ახლა ალბათ იმას თუ ეუბნება, ორ რაუნდში დაგაგდებო.



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს,

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge